სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 20 ივლისი 2006 №165 (2787) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბალახის დრო

მინდორი ჯადოა

ბადრი ქუთელიას ფოტო

აჰა, მიადგნენ სტადიონის მაშენებელნი მთავარ რამეს. ბალახის დრო მოვიდა. ჩვენი მრავალტანჯული სტადიონის ბალახი ყოველთვის სალაპარაკო იყო. ძველად — ნაკლებად, ბოლო დროს კი... საერთოდ, ქართულად რომ მივუდგეთ: მთავარი რა არის სუფრაზე? ღვინო. ყველაფრის ნაკლოვანებას აიტან კაცი და, თუ იტყვიან, ღვინო ვერ იყო ისეთიო, საჭმლის სიკარგეს აღარც გაიხსენებენ. პირველს ასევე იტყვიან: მაგარი ღვინო იყოო. სტადიონის ამბავიც ასეა: თუნდ სასახლე ააგე, მთავარი მაინც ბალახია. ჰოდა, კაი ბალახი ვუსურვოთ ჩვენს სტადიონს. მინდორი ჯადოა და მინდორი სალაპარაკოა.

იტალიელებს ჯიბეში ბომბები უდევთ

ტელეფონით კიდევ ორი კლუბი ფეთქდება

იტალიაში მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებული სკანდალი არ ცხრება: „იუვენტუსის“, „ფიორენტინასა“ და „ლაციოს“ ბედი შესაძლოა, სერია A-ს კიდევ ორმა ბინადარმა გაიზიაროს. მათ ვინაობას კალჩოპოლი ჯერ ასაიდუმლოებს, მაგრამ ცნობილია, რომ მთავარმა გამომძიებელმა ფრანჩესკო ბორელიმ სატელეფონო საუბრების ახალი სტენოგრამა მიიღო. ასე რომ, გამორიცხული არ არის, მალე სერია B-ში დაქვეითებული მორიგი ორი გუნდი და რამდენიმე დასჯილი პიროვნება ვიხილოთ.

„იუვენტუსისთვის“ ჩამორთმეული ორი სკუდეტოდან ერთ-ერთი, კერძოდ, წინა სეზონისა, ალბათ მილანის „ინტერს“ გადაეცემა. ყოველ შემთხვევაში, იტალიის ფეხბურთის ფედერაციიდან და ლიგიდან, რომელთა შეხვედრა ამ საკითხზე 28 ივლისსაა დაგეგმილი, ასეთმა ინფორმაციამ გამოჟონა.

„ნეროაძურის“ მფლობელი მასიმო მორატი დაჟინებით მოითხოვს სკუდეტოს გადაცემას, ყველა ლოგიკით, ჩემპიონებად ჩვენ უნდა გამოგვაცხადონო და, დარწმუნებულია, რომ ასეც მოხდება.

ჟვანია კარგად დარჩა

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში მიმდინარე მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა მინიმუმ ერთი მედალი გაინაღდა. გუშინ 69 კგ. წონაში კახაბერ ჟვანიამ ირლანდიელ როი შაჰანს სძლია და, სულ ცოტა, ბრინჯაოს მედალი დაიბევა.

არადა, ორიოდე თვის წინ ჟვანიასა და კიდევ რამდენიმე მოკრივის საქართველოდან წასვლაზე იყო ლაპარაკი.

არ წავიდა, დარჩა და ევრომედალიც მოიპოვა.

ქართველები უთუოსა და სათუოს შორის

გუშინ ახალგაზრდა ქართველმა კალათბურთელებმა პორტუგალიაში მიმდინარე ევროსაკვალიფიკაციო ტურნირზე უკრაინაც დაამარცხეს და ნახევარფინალში თამაში თითქმის გაინაღდეს.

სანამ ჩვენიანთა ჯგუფში ჩარჩენის მეტად არარეალურ ვარიანტს გამოვთვლიდეთ, აღვნიშნავთ, რომ დავით უსტიაშვილის გუნდმა უკრაინელებს კლასიკური გაკვეთილი ჩაუტარა იმისა, თუ როგორ უნდა ითამაშო გადამწყვეტ მეოთხედში. ქართველები მესამე ათწუთეულის ბოლოს 2 ქულით იგებდნენ და ბოლო მეოთხედში ისე მოიწადინეს, რომ საბოლოოდ 85:71 იმარჯვეს.

აი, ქართველთა ჯგუფში ჩარჩენის ვარიანტიც: უსტიაშვილის გუნდმა დღეს პოლონეთთან 12-ზე მეტი ქულით უნდა წააგოს, ხოლო ჩეხეთმა უკრაინა დაამარცხოს. არადა, ცხრილში ქულა-ბურთები იმნაირადაა განაწილებული, რომ პოლონელებს 7 ქულით მოგებაც აწყობთ, ნახევარფინალში ქართველებთან ერთად რომ გავიდნენ.

პარეირა საბოლოოდ მორჩა

ვინ იტვირთებს ბრაზილიას?



რაც მოსალოდნელი იყო, მოხდა — ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი კარლოს ალბერტო პარეირა გადადგა. პენტაკამპეონები მსოფლიოს ჩემპიონატზე უპირველეს ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ მეოთხედფინალში საფრანგეთთან დამარცხდნენ. ამის შემდეგ ძალიან მცირე იყო პოსტზე პარეირას დატოვების შანსი.

კარლოს ალბერტო პარეირამ 24-წლიანი პაუზის მერე, 1994-ში ბრაზილიას მეოთხედ მოაგებინა მუნდიალი და ადგილი მარიო ზაგალოს გადაულოცა, ხელახლა კი 2003-ში დანიშნეს მწვრთნელად ლუიშ ფელიპე სკოლარის წასვლის შემდეგ.

ბრაზილიიის ფეხბურთის ფედერაციის შეფმა რიკარდუ ტეიშეირამ განაცხადა, ნაკრებს ახალი თავკაცი სულ მალე ეყოლებაო, კანდიდატები კი არ დაუსახელებია.

აქვე ვთქვათ, რომ პარეირას სამწვრთნელო კარიერაში ხუთ ნაკრებში და თერთმეტ კლუბში უმუშავია.

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. „სიონის“ მეტოქე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევსკი

სოფია, ბულგარეთი
დაარსდა 1911 წელს
კლუბის პრეზიდენტი: ტოდორ ბატკოვი
მთავარი მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი
კაპიტანი: დანიელ ბორიმიროვი
სტადიონი: „ვასილი ლევსკი“ (ტევადობა 45 000)
ბულგარეთის ჩემპიონი (24): 1933, 1937, 1942, 1946, 1947, 1949, 1950, 1953, 1965, 1968, 1970, 1974, 1977, 1979, 1984, 1985, 1988, 1993, 1994, 1995, 2000, 2001, 2002, 2006
ბულგარეთის თასის მფლობელი (25): 1942, 1946, 1947, 1949, 1950, 1956, 1957, 1959, 1967, 1970, 1971, 1976, 1977, 1979, 1982, 1984, 1986, 1991, 1992, 1994, 1998, 2000, 2002, 2003, 2005
ჩემპიონთა თასზე:
38 თამაში: 9 მოგება, 11 ფრე, 18 წაგება; ბურთები 52:55
თასების მფლობელთა თასზე:
36 თამაში: 14 მოგება, 5 ფრე, 17 წაგება; ბურთები 70:55
უეფას თასზე:
74 თამაში: 28 მოგება, 17 ფრე, 29 წაგება; ბურთები 103:101

ძალიან სერიოზული ლევსკი ბოლნისისთვის

გუნდი, რომელმაც დაბადებისთანავე ფეხი აიდგა

სტანიმირ სტოილოვი

აზერბაიჯანული „ბაკის“ დამარცხების შემდეგ საქართველოს ჩემპიონ ბოლნისის „სიონს“ ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ბულგარეთის ყველაზე ტიტულოვანი და პოპულარული, თითქმის საუკუნოვანი ტრადიციების სოფიის „ლევსკი“ ელის. გუნდი, რომელმაც წინა სეზონში 24-ე საჩემპიონო ტიტული მოიპოვა, 25-ჯერ ქვეყნის თასი ალმართა. მეტი რომ არ ვთქვათ, ბოლნისელებს ძალიან სერიოზული მეტოქე ელით და საქმის გარჩევაც მალევე, 25 ივლისსა და 2 აგვისტოს მოუწევთ...

საინტერესოა „ლევსკის“ დაარსების იტორია. გუნდი სოფიის კაცთა მეორე გიმნაზიის მოწაფეებისგან შეიქმნა, ხოლო ოფიციალური სტატუსი სამი წლის შემდეგ მიიღო — 1914 წლის 24 მაისს. სახელწოდება „ლევსკი“ კი ბულგარეთის ეროვნული გმირის ვასილი ლევსკის პატივსაცემად შეერქვა. თუმცა ბულგარეთში კომუნისტური რეჟიმის პერიოდში „ლევსკის“ სახელი რამდენჯერმე შეეცვალა. ჯერ, 50-იან წლებში, „ლევსკი“ „დინამო“ გახდა, 1969-დან 1985 წლამდე „ლევსკი-სპარტაკად“ იწოდებოდა, ხოლო შემდეგ „ვიტოშა“ იყო. თავდაპირველი სახელწოდებით კი „ლევსკი“ 1989 წლიდანაა. გუნდი, რომელსაც ბულგარეთში ყველაზე ბევრი ქომაგი ჰყავს, სოფიის „ვასილი ლევსკის“ ეროვნულ სტადიონზე თამაშობს, სადაც, სხვათა შორის, შარშან, ოქტომბერში საქართველოს ნაკრებმა 2:6 წააგო. ამ სტადიონისკენ მიმავალ გზაზე კი უამრავი ლურჯ-თეთრად გაფერადებული საკლუბო მალაზია შეგხვდებათ — ლურჯი „ლევსკის“ საკლუბო ფერია...

„ლევსკიმ“ პირველი ოფიციალური მატჩი დაარსების დღესვე ჩაატარა და 0:2 წააგო, ბოლო კი ორიოდ დღის წინ პოლონურ „კორონასთან“ პოლონურ შეკრებაზე ითამაშა და 3:2 მოიგო.

შარშანდელ ევროსეზონში „ლევსკიმ“ უეფას თასზე ითამაშა და რამდენიმე ხმაურიანი მატჩით დაგვამახსოვრა თავი. სტანიმირ სტოილოვის შეგირდებმა მეოთხედფინალამდე გააღწიეს, სადაც ლევან კობიაშვილის „შალკემ“ შეაჩერა. იქამდე კი, „ლევსკიმ“ იტალიურ „უდინეზესა“ და „ვიტ ჯორჯიას“ ახლანდელ მეტოქე „არტმედიას“ აჯობა. ჯგუფურ ეტაპზე სოფიელებმა ფრანგულ „მარსელსა“ და რუმინულ „დინამოს“ მოუგეს და მეთექვსმეტედფინალში მეორე ადგილით გავიდნენ.

დღევანდელი „ლევსკის“ ლიდერად მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის მესამეადგილოსანი დანიელ ბორიმიროვი ითვლება. ამ გამოცდილ ფეხბურთელს გუნდში დიდი ავტორიტეტი აქვს და მწვრთნელის მარჯვენა ხელია. მის გარდა კი, ჩვენი ბულგარელი კოლეგები ფრანგ ლეგიონერ სედრიკ ბარდონსა და თავდამსხმელ ემილ ანგელოვს გამოარჩევენ. „ლევსკის“ ბარდონის გარდა ოთხი ლეგიონერი ჰყავს — ხორვატი ნახევარმცველი იგორ ტომაშიჩი, ბრაზილიელი მცველი ლუსიო ვაგნერი და ნიგერიელები, მცველი რიჩარდი და ფორვარდი ჯაიებოა.

მწვრთნელ სტანიმირ სტოილოვის ხელში „ლევსკი“ აშკარა პროგრესის გზაზეა. გუნდი შესაშური ფიზიკური მომზადებითა და ტაქტიკური განსწავლულობით გამოირჩევა. სტოილოვის გუნდი მეტწილად აქცენტს ფლანგურ შეტევებზე აკეთებს და ეს საქმე, ბოლოდროინდელი შედეგებიდანაც ჩანს, კარგად გამოსდის. წინა ჩემპიონატში „ლევსკიმ“ მეორეადგილოსანი ცესკა სამი ქულით ჩამოიტოვა, ხოლო ქვეყნის თასის გათამაშებას მერვედფინალში დაემშვიდობა, „ჩერნო მორესთან“ სოფიელებმა 2:3 წააგეს. წინა სეზონამდე „ლევსკი“ ბულგარეთის ჩემპიონი 2002 წელს გახდა.

ამჟამად სოფიის „ლევსკი“ პოლონურ შეკრებაზეა და შინ ბოლნისის „სიონის“ სამასპინძლოდ დაბრუნდება. პირველი მატჩი სამშაბათს სწორედ „ვასილი ლევსკიზე“ გაიმართება, საპასუხო კი თბილისში ან ბოლნისში — ერთი კვირის თავზე.

კობა ინასარიძე

მეკარეები
გეორგი პეტკოვი
ბოჟიდარ მიტრევი
ნიკოლაი მიხაილოვი
მცველები
ტოდორ სტოევი
ჟივკო მილანოვი
იგორ ტომაშიჩი
ბორისლავ სტოიჩევი
ივან ტოდოროვი
ბოვომილ დიაკოვი
ელინ ტოპუზაკოვი
სტანისლავ ანგელოვი
ნახევარმცველები
რიჩარდ ერომოიგბე
დანიელ ბორიმიროვი
ასენ ბუკარევი
მიროსლავ ივანოვი
დიმიტარ ტელკისკი
ლუსიო ვაგნერი
ლჩეზარ ბალტანოვი
თავდამსხმელები
კრისტიან ტასევი
გიორგი ივანოვი
ხრისტო იოვოვი
ჩეტინ სადუა
მარიან ოგნიანოვი
ვალერი დომოვჩისკი
ეკუნდაიო ჯაიეობა
ნიკოლაი დიმიტროვი
სედრიკ ბარდონი
ემილ ანგელოვი
მილან კოპრივაროვი

შვედეთი

ალსვენსკა
X ტური

იორგრიტე 1:3 კალმარი

ავსტრია

მაქსბუნდესლიგა
I ტური

ალტახი 2:3 პაშინგი
მატერსბურგი 1:0 რაპიდი
რიდი 0:3 ზალცბურგი
შტურმი 2:3 ტიროლი

ნორვეგია

თასის
მერვედფინალი

ფრედრიკსტადი 2:2დ.დ.(პენ.4:2) ბრინი
ჰამ კამი 2:3 სანდეფიორდი
რუსენბორგი 1:0 მანდალი
სოგნდალი 1:2დ.დ.(1:1) ფოლო
ვოლერენგა 2:1 ალესუნდი
ლილესტრიომი 2:1 ლინი
სტარტი — ბრანი დღეს
ვიკინგი — ბოდიო გლიმტი დღეს

რუსეთი

პრემიერლიგა. XII ტური

დინამო 2:2 რუბინი
მოსკვა 1:1 ტორპედო
ზენიტი 0:0 ცსკა

შვეიცარია

სუპერლიგა. I ტური

აარაუ 1:1 თუნი
გრასჰოპერი 0:0 სიონი
შაფჰაუზენი 1:1 სენტ გალენი
იანგ ბოისი 1:1 ბაზელი
ლუცერნი 0:3 ციურიხი

ფინეთი

ვეიკაუსლიგა
XII ტური

იარო 0:0 კტპ
ტამპერე 0:2 ჰიკ

ირლანდია

პრემიერდივიზიონი
XVII ტური

ლონგფორდი 2:0 სენტ პატრიკსი

დანია

სუპერლიგა. I ტური

ოლბორგი 3:1 ვიბორგი
ჰორსენსი 0:1 კოპენჰაგენი
ესბიერგი 2:1 სილკებორგი
ნორდსიელანდი 5:0 რანდერსი
ოდენსე 1:1 მიდტიულანდი
ბრონდბიუ 2:1 ვაილე

იაპონია

ჯეი ლიგა. XIII ტური

ნიიგატა 2:1 ურავა
ფუკუოკა 0:0 ტოკიო
სერეზო 0:2 ოიტა
იჩიჰარა 1:2 გამბა
კაშიმა 2:4 კავაზაკი
ნაგოია 2:3 ჰიროშიმა
ომია 2:1 ივატა
შიმიცუ 1:0 იოკოჰამა
კოფუ 3:1 კიოტო

ხორვატია

სუპერთასი

დინამო 4:1 რიეკა

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

აქტობე (ყაზახეთი) 1:1 *მეტალურგსი (ლატვია)* (0:1)
აპოლონი (კვიპროსი) 1:1 *კორკ სიტი (ირლანდია)* (0:1)
B-36 ტორსჰავნი (ფარერები) 2:2 ბირკირკარა (მალტა) (3:0)
ნოვა გორიცა (სლოვენია) 2:2 ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) (3:1)
შიროკი ბრიეგი (ბოსნია) 1:0 შახტიორი (ბელარუსი) (1:0)
ლანსანტფრეიდი (უელსი) 0:1 *მიუპა (ფინეთი)* (0:1)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია) 1:1 ტვმკ (ესტონეთი) (3:2)

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი

ლევსკი (ბულგარეთი) — სიონი (საქართველო)
ნოვა გორიცა (სლოვენია) — სტიაუა (რუმინეთი)
ციურიხი (შვეიცარია) — ზალცბურგი (ავსტრია)
იურგორდენი (შვედეთი) — რუჟომბეროკი (სლოვაკეთი)
დებრეცენი (უნგრეთი) — რაბოტნიჩკი (მაკედონია)
კორკ სიტი (ირლანდია) — ცრვენა ზვეზდა (სერბეთი)
ფენერბაჰჩე (თურქეთი) — B-36 ტორსჰავნი (ფარერები)
ბოლესლავი (ჩეხეთი) — ვოლერენგა (ნორვეგია)
შერიფი (მოლდოვა) — სპარტაკი (მოსკოვი, რუსეთი)
მეტალურგსი (ლატვია) — დინამო (კიევი, უკრაინა)
ჰაფნარფიორდური (ისლანდია) — ლეგია (პოლონეთი)
კოპენჰაგენი (დანია) — მიუპა (ფინეთი)
ეკრანასი (ლიტვა) — დინამო (ზაგრები, ხორვატია)
ჰართსი (შოტლანდია) — შიროკი ბრიეგი (ბოსნია)

პირველი მატჩები გაიმართება 25-26 ივლისს, საპასუხოები — 1-2 აგვისტოს

სიონმა მეგრელაძეს აზრი ვერ შეაცვლევინა
ცხელი ჩაი ამ სიცხეში

„სიონი“ — „ბაკის“ დაპირისპირებამდე ბაქოელებმა თბილისის „დინამოდან“ ფორვარდი გია მეგრელაძე შეიძინეს. „ბაკის“ დიდი იმედი ჰქონდა მეგრელაძისა, მაგრამ გიამ ბოლნისელებთან ორივე მატჩში ტრავმიანმა ითამაშა და თავი დიდად ვერ გამოიჩინა. ბაქოური შეხვედრის წინ მეგრელაძის ტრავმა კიდევ უფრო გამიზეზდა, ბარძაყის კუნთი ძალიან დაეჭიმა, მაგრამ მაინც ათამაშეს. გიას გუშინ შევხვდი და ვესაუბრე...

დავით თავართქილაძე
ბაქოდან

— შემდეგ ეტაპზე „სიონი“ გავიდა, ამაზე რას იტყვი?

— წესით და რიგით, მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენ უნდა გავსულიყავით, „ბაკი“ „სიონზე“ უკეთესი გუნდია და იმიტომ. თუმცა ყველაფერი თბილისის მატჩში გადაწყდა, როცა ორი ფეხბურთელი გაგვიძევეს.

— ბაქოური მატჩის წინ რა დავალება მოგცათ მწვრთნელმა?

— განსაკუთრებული არაფერი. ყველამ ისედაც ვიცოდით, რა ამოცანის წინაშე ვიდექით. გოლის გარდა კიდევ გვქონდა მომენტები, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

— ტრავმირებული იყავი და მაინც ითამაშე: შენზე ზეწოლა იყო?

— ზეწოლა არ ყოფილა, მაგრამ ისე იყო საქმე, რომ აუცილებლად უნდა მეთამაშა.

— ახლა როგორ გაქვს ფეხი?

— ძალიან ცუდად, ტკივილი არ მეშვება, მკურნალობას ახლაღა შეუდგები.

— „დინამოდან“ წასვლა ჯერ კიდევ იანვარში გინდოდა და ეს მაშინ რატომ ვერ მოახერხე?

— „დინამოს“ ხელმძღვანელობა ჩემში იმაზე მეტ თანხას ითხოვდა, რისი გადახდაც მაშინ შესაძლებელი იყო. მოკლედ, „დინამო“ და მე ვერ ვთანხმდებოდით. სეზონის შემდეგ კი გუნდმა ჩემთვის მიუღებელი კონტრაქტი შემომთავაზა და მერეღა გაჩნდა ბაქოში გადასვლის შანსი.

— მიგაჩნია, რომ სწორი გადაწყვეტილება მიიღე? არ გაგიჭირდება აზერბაიჯანში ცხოვრება და თამაში?

— „ბაკის“ შემოთავაზებული პირობები მომეწონა და გადაწყვეტილებაც ამის მიხედვით მივიღე. ძნელი იქნება თუ არა აქ ყოფნა და თამაში, ეს მერე გამოჩნდება.

— „სიონმა“ რა შთაბეჭდილება დატოვა „ბაკისთან“ მატჩებში?

— „სიონი“ საქართველოს ჩემპიონატში უფრო ძლიერად თამაშობდა. შესაძლოა, ეს იმიტომ, რომ ბოლნისელები ჩემპიონატის მატჩებს საკუთარ ქალაქში თამაშობდნენ და არა თბილისში.

— „დინამოდან“ რომ წახვედ, გული გწყდება?

ბოლნისელთა მეკარემ ზურაბ ბათიაშვილმა თვისტომ გია მეგრელაძეს არ გაატანინა

— გული მართლაც ძალიან მწყდება, მაგრამ ასე უნდა მოვქცეულიყავი.

— წინა სეზონი „დინამომ“ სუსტად რომ ჩაატარა, ამას რას დააბრალებდი?

— წარუმატებლობა მწვრთნელების ხშირმა ცვლამ გამოიწვია. ისიცაა, რომ „დინამოში“ კლუბის გაწვითარების გეგმაზომიერ პოლიტიკას ვერ ვხედავ.

— ფაქტია, რომ საქართველოს ჩემპიონმა აზერბაიჯანის ჩემპიონი დაამარცხა. მაინც იმ აზრზე ხარ, რომ აზერბაიჯანს ჩვენზე ძლიერი ჩემპიონატი აქვს?

— კი, ისევ ამ აზრის ვარ, რადგან აზერბაიჯანულ კლუბებში მყარი ფინანსური მდგომარეობაა, საქართველოში კი...

— 27 წლის ხარ — ერთი წელი „ბაკიში“, მერე რას აპირებ?

— არ ვიცი, მაგაზე ჯერ არ მიფიქრია.

— აზერბაიჯანულ გარემოს თუ შეეჩვიე?

— ჯერჯერობით ამ მხრივ ყველაფერი ნორმალურად მიდის, თუმცა, როცა „სიონთან“ გუშინდელი მატჩის პირველი ტაიმის შემდეგ თანაგუნდელები გასახდელში ცხელ ჩაის სვამდნენ, ძალიან გამიკვირდა...

აზერაზრი: ვისთან ფავაგეთ?!
კახა ცხადაძე: რაც შეეხება ლევსკის, ძნელი თამაში გველის

დავით თავართქილაძე ბაქოდან

„სიონთან“ გავარდნის შემდეგ ბაქოელები გულმოკლულები არიან. მათ დღესაც სჯერათ, რომ უსამართლოდ დამარცხდნენ და ბოლნისელებზე კარგი გუნდი ჰყავთ. ეს აზერბაიჯანულ პრესაშიც იგრძნობა. ბაქოში გამომავალი რუსული გაზეთი „ზერკალო“ წერს:

„ბოლო სამი წლის განმავლობაში პირველად, აზერბაიჯანის ჩემპიონმა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი ვერ გადალახა. „ბაკის“ ფეხბურთელები ამორფულები იყვნენ, განსაკუთრებით კი პირველ ტაიმში. მასპინძლებიდან მხოლოდ დარკო იოვანდიჩი გამოირჩა, პატე ბანგურა კი ალბათ ტელევიზორთან იყო მიმჯდარი ამ ცოტა ხნის წინ და კრიშტიანუ რონალდუს ფინტებს აკვირდებოდა, თუ როგორ უნდა დაეცე მეტოქის საჯარიმოში ისე, რომ მსაჯს პენალტი გამოსტყუო. „სიონი“ ძლიერ გუნდად ვერ წარმოგვიდგა — მას რომ შარშანდელი ან შარშანწინდელი „ნეფთჩი“ შეხვედროდა, ადვილად მოუგებდა. ქართველები დროის გაყვანას არ თაკილობდნენ, მაგრამ ამის გამო მათ მკაცრად ნუ გავკიცხავთ“.

აზერბაიჯანულ ენაზე გამომავალი სპორტული გაზეთი „ჰეთ თრიქი“:

„ბაკიმ“ სოფლის გუნდს ვერ მოუგო“ — ასეთი სათაური აქვს ამ მატჩის მიმოხილვას. ინტერვიუში კი „სიონის“ თავკაცი კახა ცხადაძე ამბობს: „ჩვენი სათქმელი მოედანზე ვთქვით, ამ დაპირისპირებაში საკვანძო მომენტი თბილისური მატჩი გამოდგა, 0:2-ის შემდეგ მომდევნო ეტაპზე გასვლა ძნელია. დაცვაში ჩაჯდომა არ გვინდოდა, სამი ცენტრალური მცველი გავამწესეთ და სამივემ გაამართლა. გუნდური სულით და კოლექტიური თამაშით მოვიგეთ, თორემ ვარსკვლავები არ გვყავდა და არც ისეთი ლეგიონერები, როგორიც „ბაკის“. კარგად ვითამაშეთ. ფლანგებზეც ისეთი პატარა ქალაქის გუნდისთვის, როგორიც ბოლნისია, მეორე ეტაპზე გასვლა უკვე შედეგია. საქართველოს ჩემპიონობაც კი უკვე საკმარისია. რაც შეეხება „ლევსკის“, ძნელი თამაში გველის, მაგრამ რატომ უნდა გვეშინოდეს ბულგარელების?!

ბაქოში ადრეც ვყოფილვარ და ქალაქი უკეთესობისკენ შეიცვალა. „ბაკი“ სტუმართმოყვარე მასპინძელი გამოდგა“.

ამავე გაზეთში დაიბეჭდა „ნეფთჩიში“ მოთამაშე ქართველი ლეგიონერის, გიორგი ადამიას კომენტარი:

„ყოველთვის ლამაზ ფეხბურთს ვქომაგობ, მაგრამ ქართველი ვარ და, მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანულ კლუბში ვთამაშობ, გულის სიღრმეში მიხარია „სიონის“ გამარჯვება. თუმცა, „ბაკის“ რომ მოეგო, შესაძლოა, მაშინაც გამხარებოდა.“

საქართველოს ეროვნული ნაკრების ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველთა საყურადღებოდ!

2006 წლის 15 აგვისტოდან საქართველოს ეროვნული ნაკრების ოფიციალურ ფან-კლუბში გაწევრიანების მსურველებს შეგიძლიათ მიბრძანდეთ „საქართველოს ბანკის“ ნებისმიერ ფილიალში, სადაც გარკვეული პროცედურების გავლისა და შესაბამისი თანხის გადახდის შემდეგ თქვენ ოფიციალურად გახდებით ფან-კლუბის ვერცხლის (15 ლარი), ოქროს (50 ლარი) ან პლატინის (100 ლარი) ბარათის მფლობელი. თქვენთვის საინტერესო სხვა დეტალური ინფორმაციის მიღება შესაძლებელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებ გვერდზე WWW.GFF.GE ან 15 აგვისტოდან „საქართველოს ბანკის“ ფილიალებში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია



ჰა და ჰა...

ალექსანდრე ალფაიძე

ქართული ფეხბურთი ახალ სტადიაზე: ეროვნული ნაკრები ეროვნულად საკადრის სტადიონზე



ალექსანდრე ალფაიძე

შოთას ფეხი ათდღიანია ლევანტე არ ცხრება, არველაძე ყოყმანობს

შოთა არველაძის „ალკმაარმა“ ამხანაგურ მატჩში 7:1 მოუგო ჰოლანდიის ერთ-ერთ ქვედალიგელ გუნდს, თუმცა ქართველ ბომბარდირს არ უთამაშია.

„მიზეზი ტრავმაა. ფეხი მაწუხებს და დაახლოებით 10 დღე გამიცდება“ — გვითხრა შოთამ.

გეცოდინებათ, არველაძეს კვლავ უტრიალებს ესპანურ პრიმერადივიზიონში ახალგადასული „ლევანტე“ და აი, რას ამბობს ამ კლუბის პრეზიდენტი პედრო ვილიაროელი: „ჩვენ შევიძინეთ იტალიელი დამიანო ტომაზი, ფრანგი ლორან რობერი და მისი თანამემამულე ფრედერიკ დეუ. შეიძლება ითქვას, ნახევარდაცვის ხაზი დაკომპლექტებულია, თავდასხმაში კი შოთა არველაძე გვინდა“.

ესპანური AS-ის ცნობით, „ლევანტე“ 2 მილიონ ევროს იხდის არველაძეში. თავად შოთამ კი გუშინ ეს გვითხრა:

„ახალი არაფერია. „ლევანტეს“ კვლავ ვუნდივარ, მაგრამ ჯერ ვფიქრობ. უფრო იმაზე ვფიქრობ, რა დონის გუნდი იქნება „ლევანტე“, გასავარდნად არ გაუხდეს საქმე“.

ილია ნანოგაფვილი

თან საქმე და ტრანსფერული პარაგვაელები

გერმანულ შეკრებაზე მყოფი „ზესტაფონი“ გერმანიის ობერლიგის (ესენის ზონა) „ბაუნატალს“ ეთამაშა ტესტ-მატჩში და 1:0 მოუგო. გოლი ბექა გოცირიძემ გაიტანა 51-ე წუთზე — გიორგი ჭელიძის ჩაწოდებული ბურთი გადაგზავნა კარში. მთელი შეხვედრის მანძილზე ფეროელები უპირატესობას ფლობდნენ და მრავლად საგოლე მომენტები ჰქონდათ, თუმცა წინა მატჩშიც ასე იყო და ახლაც: რეალიზაციაში მოიკოჭლებენ.

„ბაუნატალთან“ მერაბ კოჭლაშვილის გუნდი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: *ჭანტურია, ლონლაძე, ს. თოდუა, კ. ჩხეტიანი, ხიდეშელი, ბ. ნოზაძე (ბენაშვილი 60), გ. ჭელიძე (კვასხვაძე 65), თურმანიძე, ბყალავა (ბავაშელიშვილი 60), ბ. გოცირიძე, იონანიძე (ჯანელიძე 81).*

შეგახსენებთ, წინა მატჩში „ზესტაფონმა“ ასევე ობერლიგელ „ბრაუნფელსს“ 2:1 მოუგო და იქაც ბექა გოცირიძემ გაიტანა გადამწყვეტი გოლი, გამთანაბრებელი ბურთი კი ნახევარმცველმა ნიკა კვასხვაძემ შეაგდო — ეს 17 წლის ბიჭი გასულ სეზონში „თბილისში“ კარგი თამაშით ეხსომება ქომაგს, ახლა კი ფეროელთა გუნდში გასინჯვაზეა.

22 ივლისს „ზესტაფონი“ პარაგვაის ახალგაზრდულ ნაკრებს შეხვდება და თანაც იმერლები პარაგვაელთა ორ ახალგაზრდას გასინჯავენ. „ზესტაფონის“ პრესტაშე სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, სავარაუდოდ, სამხრეთამერიკელი ფეხბურთელების ტრანსფერს კარგი პირი უჩანს.

ილია ნანოგაფვილი

დინამომ არაზს დამატებაზე მოუგო

თბილისის „დინამომ“ გუშინ სიმფეროპოლში კიდევ ერთი ამხანაგური მატჩი გამართა — აზერბაიჯანულ „არაზს“ 1:0 მოუგო.

თბილისელთა მწვრთნელმა კახა კაჭარავამ გუნდი ამჯერად შედარებით ოპტიმალური შემადგენლობით ათამაშა და სულ ორი შეცვლა გააკეთა. ის ერთადერთი გოლი კი ჯაბა დვალის ანგარიშზეა. 44-ე წუთზე სწორედ მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტი მიხეილ ხუციშვილმა შეასრულა, ბურთი ძელმა აისხლიტა, თუმცა დინამოელთა ფორვარდმა დამატებაზე ყველას დაასწრო და გაიტანა. სხვათა შორის, ყირიმული შეკრების პირველ მატჩშიც, არმიანსკის „ტიტანთან“, რომელიც 1:1 დამთავრდა, თავი ჯაბა დვალმა გამოიჩინა.

„დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო:

გრიშიკაშვილი (თოთლაძე 70), გივაური, შ. კაშია, თომაშვილი, ამბროზიო, მახარაძე, ნერგაძე, ხუციშვილი (ჩირიკაშვილი 54), იაშვილი, მერებაშვილი, დვალი

მომდევნო მატჩს „დინამო“, სავარაუდოდ, სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ გამართავს.

კობა ინასარიძე

გიო ახვლედიანის სვეტეული

კი წავიდნენ, მაგრამ...

აი, დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი და სხვა ათას ამბავთან ერთად, მისი მსვლელობისას რომ მოხდა, ისიც იყო, რომ ზინედინ ზიდანი თამაშს თავს ანებებს, ლუიშ ფიგუ კი ნაკრებს ეთხოვება. შეიძლებოდა, სხვებიც მოგვეძებნა.

გასაკვირი არაფერია: 90-იანი წლების დიდი თაობა თამაშს ეთხოვება.

ამ ამბავში ბევრი რამ დასანანი და სევდის მომგვრელია.

ზიდანი საბოლოოდ წავიდა, ფიგუ კი ალბათ ერთ-ორ სეზონს კიდევ გაატანს.

იყო დრო, როცა ეს ორი კაცი დიდ საქმეებს ატრიალებდა მინდორზე და ახლა კი სურათი ისეთია, რომ თამაშიდან მიდიან ევროპის უკანასკნელი დიდი შემოქმედნი. სხვანაირად რომ ვთქვათ, შემოქმედებითი ფეხბურთის დიდი წარმომადგენლები.

მათი შემცვლელები ძნელი საპოვნელნი არიან: ბიჭები, რომლებსაც კოჭებში ეტყობათ, რომ სწორედ ამგვარი ფეხბურთი უნდა ითამაშონ, ჯერ იმ მასშტაბს ვერ გასწევენ, ამ დროულ კაცებს რომ შეეძლოთ, თანაც, ამ მომავლის ბიჭებს თამაშში თანა სდევთ ერთგვარი სიმშრალე და, აბა, მე საიდან ვიცი, მსუყე იქნება თუ არა მათი სათამაშო ფერები?

ისინი თავიდანვე მასშტაბურები იყვნენ, ზიდანიცა და ფიგუც, თავიდანვე მხრებზე ედოთ ყველაფერი და ლამის მთელ ათ წელიწადს უმათოდ არც ნაკრები არსებობდა, არც კლუბები. არ არსებობდა არც დიდი ევროპული შეჯიბრებები და მათი კვალის გარეშეც არაფერს ჩაუვლია.

აგე, თვალწინ იყო ამხელა მსოფლიო ჩემპიონატი და ვინ მოდის დიდი შემოქმედების ნაცვლად?

ჩემი ჭკუით, ამ ჩემპიონატზე ყველაზე მაღალი კლასის ფეხბურთელები არგენტინელებს და ბრაზილიელებს ჰყავდათ, თუმცა მასშტაბური ბიჭი, ანუ მომავლის შემოქმედი, იქაც არ გამოუჩენიათ: მესი და რობინიო — მხოლოდ ფრაგმენტულად ჩანდნენ მინდორზე.

ჩვენ კიდევ, ახლა უფრო ევროპელებზე ვლაპარაკობთ.

არ იყო.

მე მინდოდა, რომ სესკ ფაბრეგასი ყოფილიყო ამათ მიმსგავსებული. ანდა რობინ ვან პერსი. პირველს მაინც ცოტა მუშური დაჰკრავს, მეორეს ნამეტანი ინტელიგენტური. დიდი შემოქმედებითი ფეხბურთელის არსი კი იმაშია, რომ ის ერთდროულად პროლეტარიც არის, მხატვარიც, კრუხიც, ძერაც, სიკეთეცა და სიავეც, ისე, როგორც გვერდიგვერდა აქვს ეშმაკობა და სილამაზე.

ბევრს ასეთ მოთამაშეთაგან ერთი თავისებურება სჭირს: დიდხანს და გაჭირვებით მიდიან ფეხბურთიდან. ასე დიდხანს და გაჭირვებით მიდიოდა კრუიფი, რომელიც ადრე მოწყდა დიდ სარბიელს, მაგრამ ფეხბურთს ვერაფრით. ასე იყო ჯორჯ ბესტიც, რომელიც მისი ტოლი წავიდა დიდი თამაშიდან და სინამდვილეში კი ჭაღარა იყო და კიდევ მინდორზე იდგა სრულიად მოულოდნელ ადგილებში. ასევე იყო პოლ გასკოინიც, რომელიც მოოქმით და ტირილით მთელ ათ წელიწადს ებღაუჭებოდა თამაშს, თუმცა დიდი ფეხბურთისა აღარაფერი ჰქონდა და, რა თქმა უნდა, ასე იყო დიეგო მარადონაც, რომელიც მთელი მსოფლიოს თვალწინ მთელს შვიდ წელიწადს ფეხბურთიდან ვერ მიდიოდა. მისი წასვლა მეორედ მოსვლას ჰგავდა, ოღონდაც დროში გაწელეს. ის კვდებოდა, ცოცხლებოდა, ითხვრებოდა და ისევ იწმინდებოდა. მისგან აღარაფერი იყო დარჩენილი, ისევე, როგორც ზემოთ ნახსენები სამი კაცისგან. არაფერი, გარდა ფეხზე მიწებებული ბურთისა.

დრო გამოიცვალა.

ფეხბურთი გახდა უფრო ბურჟუაზიული და მოვლილი.

ზიდანი მიდიოდა მშვიდად, თითქოს ფერიები მიაცილებდნენ. ფინალი, ყველაფერი... და ის ვერ წავიდა მშვიდად.

მომხდარის შემდეგ ცხადი შეიქნა, რომ რაღაც უნდა დამართნოდა, ვინაიდან არ გამოდის ხოლმე ასე ეულად, კარგად და მილიონერულად. ვიღაცებს გამოსდით, ვიღაცებს კი არა. ისინიც და ისინიც ფეხბურთის დიდი შემოქმედები არიან, ოღონდაც, ჩვენს გულებში უფრო ისინი რჩებიან, ვისაც ნასვლა არ გამოსდის და შინდორსგარეთაც დიდი ისტორიის ნაწილნი შეიქნებიან.

დიდი ადამიანური ისტორიის. ამას ვგულისხმობ.

იმას, რაც ზიდანმა გააკეთა ფინალში, ერთი ამბავს ვამსგავსებ. რაგბის გამოგონების ამბავს: როცა უილიამ უებ ელისმა წესის საწინააღმდეგოდ ბურთს ხელი დაავლო და მეტოქის კარისკენ წაიღო. ეგებ ზიდანის ამ საქციელმა მინდორზე მდგომარეობაც კი შეცვალოს: მორჩნენ გინებას და ბწკენას, ანდა, თუ არ მორჩებიან, სამარცხვინო მაინც შეიქნას. რა განსხვავებაა მეტოქეზე გაშლილი ფეხით წასვლასა და მის შეგინებას შორის? დიდი — შეგინება უარესია.

ეს ერთი მხარეა.

მეორე მხარე კი მაინც ის მგონია, რომ ზიდანი მიდიოდა და წასვლა არ უნდოდა.

ეს სრულიად განსაკუთრებული დღე იყო მისთვის. ყველაფერი მოქმედებდა და დიდი სიმბოლო იყო.

ჰოდა, რაც შავი იყო ფეხბურთში, ზიზუმაც იმას დასცხო წასვლის წინ.

დიდი შემოქმედებითი ფეხბურთი.

ის რაც გვიყვარს. ის, რისთვისაც გვიყვარს.

მე მგონია, რომ ლუიშ ფიგუ, ასეთი მობერებული, ფინტწამხდარი, მაგრამ მაინც თავდაუზოგავი, დიხანს შემორჩება თამაშს.

და ბიჭები? სად არიან ბიჭები?

ახლები... ახალი მხატვრები ევროპიდან.



და ევროპა?

კიდევ ორი გასაგდები იპოვეს

სკუდეტო ინტერს, უეფა მილანს





იტალიაში მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებული სკანდალი გრძელდება. გუშინ აპენინურმა ჟურნალ-გაზეთებმა სენსაციური ინფორმაცია გაავრცელეს — შესაძლოა, სერია **B**-ში სერია **A**-ს კიდევ ორ კლუბს უკრან თავი, რომელთა ვინაობაც ჯერ უცნობია.

საქმე ის არის, რომ კალჩოპოლის გამოძიების მეთაურ ფრანჩესკო სავერიო ბორელის სატელეფონო საუბრების ახალი, სამასგვერდიანი სტენოგრამა მოუგდია ხელთ, რომელშიც ზემოთ ხსენებული ორი, ჯერჯერობით უცნობი კლუბი ფიგურირებს. უფრო ნათლად ყველაფერს, ალბათ, რამდენიმე დღეში შევიტყობთ.

ამასობაში მილანის „ინტერმა" ეგებ, 1989 წლის მერე ნანატრი მეთოთხმეტე სკუდეტო გაიფორმოს. წესით, ეს საკითხი მომავალი 10 დღის მანძილზე უნდა გაირკვეს. საუბარია „იუვენტუსისთვის" ჩამორთმეული ორი ჩემპიონობიდან ერთ-ერთზე, კერძოდ შარშანდელზე. თავდაპირველად ვარაუდობდნენ, რომ გასული ორი სეზონი უბრალოდ, ბათილად გამოცხადდებოდა, თითქოს არც ჩატარებულა. თუმცა ახლა იტალიური პრესა იუწყება, რომ გასული სეზონის სკუდეტო „ნერო აძურის" ერგება, რომელიც სერია **B**-ში დაქვეითებული „ბებერი ქალბატონისა" და 44 ქულა დაკლებული „მილანის" მერე ცხრილში პირველი აღმოჩნდა.

28 ივლისს იტალიის ფეხბურთის ფედერაციისა და ლიგის შეხვედრა შედგება, სადაც გადაწყდება კიდეც ყველაფერი. ამბობენ, ორივე ეს ორგანიზაცია სკუდეტოს „ინტერისთვის" გადაცემას ემხრობაო.

„სკუდეტო აუცილებლად უნდა გადმოგვცენ, რადგან შესწორებულ ცხრილში პირველები ვართ. ყოველთვის პატიოსნად ვთამაშობდით და ეს დავიმსახურეთ. თუ ასე არ მოხდა, გამოდის, რომ სერია **A**-ს ყველა კლუბი ყოფილა მაქინაციებში გარეული და იმ განაჩენს, რომელიც კალჩოპოლიმ გამოიტანა, აზრი ეკარგება" — ამბობს „ნერო-აძურის" მფლობელი მასიმო მორატი.

„ინტერი" კი ისეთი დარწმუნებულია, რომ სკუდეტოს გადასცემენ, ახალ ფორმებსაც კი ამზადებს, რომელზედაც იტალიის თასის ლოგო ნაპირისკენ გადაწიეს, რათა გუნდის მიერ მოპოვებული მორიგი სკუდეტოს ლოგოსთვის ადგილი დარჩეს.

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის მმართველი გვიდო როსი კი ახალი ინიციატივით გამოდის — მომავალ სეზონში სერია **B**-დან **A**-ში ორის ნაცვლად ყოველგვარი პლეი ოფის გარეშე სამი გუნდი დავაბრუნოთო. მისი აზრით, ეს ყოველთვის უკეთესი იქნება და სერია **B**-ში დაქვეითებულ დიდ გუნდებს („იუვენტუსი", „ლაციო", „ფიორენტინა") ელიტაში დაბრუნების მეტი შანსი ექნებათ, რაც იტალიურ ფეხბურთსაც წაადგება.

„მილანი" კი, როგორც ჩანს, მაინც გამოჰკრავს უეფას თასის საგზურს ხელს. იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ „ემპოლის" სათანადო ლიცენზიაზე უარი უთხრა, აქაოდა, ტოსკანელები ყველაფრისთვის მოშზადებას ვეღარ მოასწრებენო. შესაბამისად და ლოგიკურად, ეს საგზური „როსონერის" უნდა შეხვდეს, თუმცა ყველაფერი საბოლოოდ რამდენიმე დღეში გაირკვევა.

გიორგი ძაძამიძე



განახლებული უემბლი

უეფა მასპინძელს ოქტომბერში დაწურავს

ხელახლა აგებული „უემბლი" და ბერლინის „ოლიმპიაშტადიონი", სადაც 9 ივლისს მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გაიმართა, ალბათ, ჩემპიონთა ლიგის 2008 და 2009 წლების ფინალებს უმასპინძლებენ. ოფიციალურ განცხადებას ამასთან დაკავშირებით უეფას აღმასკომი ოქტომბერში, სლოვენიის დედაქალაქ ლუბლიანაში მიიღებს, მანამდე კი შედგა შორტ ლისტი, რომელშიც ამ ორი სარბიელის გარდა მოხვდნენ რომის „სტადიო ოლიმპიკო", მოსკოვის „ლუჟნიკები" და სევილიის „ესტადიო ოლიმპიკო", სადაც 2003 წელს „სელტიკმა" და „პორტუმ" უეფას თასის ფინალი ითამაშეს.

ბერლინის „ოლიმპიაშტადიონმა", რომელსაც ევროპული თასის ფინალისთვის არასდროს უმასპინძლია, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში 302,4 მილიონი დოლარი მოიხვეჭა.

„უემბლი", 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის სცენა, რომელზეც მას მერე კიდევ ხუთი ევროთასული ფინალი გაიმართა, 1,2 მილიარდი ევროს დახარჯვის შემდეგ 90 ათასიანი გახდა და გაისად გაიხსნება.

რომის „სტადიო ოლიმპიკოზე" ჩატარებულა 1960 წლის ოლიმპიადა, 1990 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი და ჩემპიონთა თასის (ლიგის) ფინალები — 1977, 1984 და 1996 წლებში.

„ლუჟნიკებმა" უმასპინძლეს 1980 წლის ოლიმპიადას და 1999 წლის უეფას თასის ფინალს.

რაც შეეხება 2007 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალს, მას უმასპინძლებს ათენი, ხოლო უეფას თასის მფლობელის ვინაობა გლაზგოს „ჰემპდენ პარკზე" გაირკვევა.

ბაჩუნა ძიძია

მე მქვია კოლომბო

მივდივართ აფრიკაში



ფრანკო ბარეზი

კამერუნის ნაკრებს შესაძლოა, სათავეში იტალიური წყვილი — ფრანკო ბარეზი და ანჯელო კოლომბო — ჩაუდგეს. აფრიკელები პორტუგალიელი არტურ ჟორჟეს წასვლის მერე რამდენიმე თვეა, მწვრთნელის გარეშე არიან.

კოლომბომ ახლახან დატოვა „მილანის" ახალგაზრდული გუნდი. „როსონერის" და ზოგადად მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ბარეზი მწვრთნელობას ახლა იწყებს. ეს პოსტი გამოუცდელი იტალიელებისთვის ალბათ საკმაოდ რთული იქნება, მაგრამ ისინი ამბიციურად არიან განწყობილნი და კამერუნის ფეხბურთის ფედერაციასაც მათი ეიმედება.

შეგახსენებთ, რომ კამერუნი, რომელიც ახლაც აფრიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნაკრებად ითვლება და მართლაც ჩინებული ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული, სენსაციურად ვერ მოხვდა გერმანიის მუნდიალზე. ცხადია, ამაში თავად ფეხბურთელები არიან დამნაშავენი, მაგრამ არც უიღბლობის გარეშეა საქმე, გადამწყვეტი მატჩის ბოლო წუთზე პიერ ვომემ პენალტი გააცუდა. ამის გამო გამოცდილი მცველი ოჯახითურთ, ფაქტობრივად სამშობლოდან გააქციეს. პორტუგალიელი სპეციალისტი კი ულაპარაკოდ გადადგა.

„პირველ რიგში ყველამ უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ჯერ არანაირი შეთანხმებისთვის არ მიგვიღწევია, თუმცა კამერუნის ფეხბურთის ფედერაცია მართლაც დაგვიკავშირდა. ჩვენმა ადვოკატმა კი მათ წერილი გაუგზავნა, სადაც აღნიშნულია, რომ მოსალაპარაკებლად მზად ვართ" — თქვა კოლომბომ.

ძოძი ძანდელაძი

შონ ნიუტონი

ნიუტონს კოკაინი ჰყვარებია

„ვესტ ჰემის" ნახევარმცველი შონ ნიუტონი კოკაინის ყნოსვაში ამხილეს და შვიდთვიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს.

30 წლის ფეხბურთელი გაზაფხულზე, 23 აპრილს, „მიდლსბროსთან" ასოციაციის თასის მატჩის შემდეგ შეამოწმეს და ტესტმა კოკაინი აჩვენა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ განაცხადა: „ნიუტონს თამაში აეკრძალა, მაგრამ ვარჯიში და სხვა საფეხბურთო საქმიანობის გაგრძელება შეუძლია. სასჯელი ძალაშია 20 მაისიდან ანუ იმ დღიდან, როცა „ვესტ ჰემმა" მოთამაშე გუნდიდან გააძევა."

„ვესტ ჰემის" ოფიციალურ განცხადებაში კი წერია: „ყველა ფეხბურთელს სეზონის დაწყებამდე ვაცნობებთ წესებს, ამიტომ დანდობა არ იქნება და თავის მართლებას არ მივიღებთ".

შონ ნიუტონი, ცხადია, არ წაიყვანეს შვედეთში სეზონისწინა მოსამზადებელ შეკრებაზე. ასოციაციის შეფმა გორდონ ტეილორმა ბრძანა: „ის პროფესიონალია და ასეთი საქციელი არ ეპატიება".

აქვე ისიც ვთქვათ, რომ კოკაინის ყნოსვაში ამხილეს „ვულვერჰემპტონის" ფორვარდი კრის კორნერიც, ვისაც ექვსი თვით აუკრძალეს თამაში.

ვაჟა ხუციშვილი

მატერაცის პასუხი

„სარბიელის“ მკითხველმა იცის, რომ ფრანგმა მცველმა ლილიან ტურამმა განაცხადა — მარკო მატერაცისნაირები არ უნდა არსებობდნენ, რადგან ეს ფეხბურთის ავადმყოფობააო. შეგახსენებთ, რომ ეს იყო ტურამის გამოძახილი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მომხდარ ინციდენტზე, როდესაც მარკო მატერაციმ ზინედინ ზიდანს შეაგინა და პასუხად მკერდში თავური დარტყმა მიიღო. ზიდანი მოედნიდან გააგდეს.

ტურამის ასეთ განცხადებას, რასაკვირველია, მატერაცის პასუხიც მოჰყვა: „ტურამს ერჩივნა, იმაზე გაემახვილებინა ყურადღება, რომ ზიდანი ასე პირველად არ მოიქცა. მისი ნებისმიერ ფასად გამართლება არ არის საჭირო.“ — უთხრა მსოფლიოს ჩემპიონმა მცველმა იტალიურ სააგენტო ANSA-ს.

ცნობისთვის: ზინედინ ზიდანს კარიერაში 12 წითელი ბარათი აქვს მიღებული.

ისევ მატერაცი: „წარსულში მეც დამიშვია შეცდომები და საერთოდაც არ არის საჭირო ვინმეს პრინციპის გამო დაცვა.“

ახლა კი ტურამის გამონათქვამს დავუბრუნდეთ. ამ გამონათქვამს „ავადმყოფობაზე“ საუბრის შემდეგ ასეთი გაგრძელება ჰქონდა:

„მატერაცი ფეხბურთს იმიჯს უფუჭებს, არადა, იგი მართლა ძალიან კარგი ფეხბურთელია და ასეთი დამოკიდებულება არაფრად სჭირდება. რა ფასი აქვს ხრიკებით მოპოვებულ გამარჯვებას? ის არაფერს ნიშნავს.“

მოგეხსენებათ, ფიფა ინციდენტს იძიებს და სადისციპლინო კომისიის დასკვნას დღეს გვპირდება.

პაპუნა ქედია

პიერო სანდული: მობრძანდით ზეგ, დილის 9 საათზე

კალჩოპოლის ტრიბუნალის მიერ დასჯილ ოთხ იტალიურ გუნდს სააპელაციო სასამართლო 22 ივლისს დილის 9 საათიდან ელის. შეგახსენებთ, რომ საუბარია „იუვენტუსზე“, „ფიორენტინაზე“, „ლაციოსა“ და „მილანზე“, რომელთაც 2004-05 წლების სეზონში მატჩების გარიგება დაუმტკიცდათ და ამის გამო პირველი სამეული სერია B-ში დააქვეითეს, სადაც შეჯიბრებას ნულიდან კი არა, მინუს ქულებიდან დაიწყებენ. კლუბებს გარდა, დაისაჯნენ კორუფციულ გარიგებებში მონაწილე ადამიანებიც — მსაჯები, ფედერაციის ჩინოვნიკები და სხვანი.

მეოთხე გუნდი „მილანი“, რომელიც გავარდნას გადარჩა, უბრალოდ, ჩემპიონთა ლიგიდან მოკვეთეს. მას სეზონს ისევ სერია A-ში, ოღონდ დაქვეითებული ქულებით დააწყებინებენ — „მილანის“ წილი მინუს თხუთმეტია.

სააპელაციო სასამართლოს პრეზიდენტი პიერო სანდული: „სპორტული ტრიბუნალის განაჩენთან დაკავშირებული საჩივრისთვის ჩვენი კარი შაბათ დილიდან იქნება ღია. არ ვეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებიც ამბობენ, რომ ტრიბუნალის დროს დაცვის მხარეს უფლებები ჰქონდა შეკვეცილი. იურიდიულად ჩვენ დამოკიდებულნი ვართ იმ წესებზე, რომლებიც ამ კლუბებმა მიიღეს მაშინ, როდესაც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის წევრები ხდებოდნენ და შესაბამის ხელშეკრულებას აწერდნენ ხელს.“

მოგეხსენებათ, უეფა აპელაციათა დამთავრებას და

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გვიდო როსიმ უეფას ევროთასების მონაწილე გუნდების სია 25 ივლისს უნდა წარუდგინოს

საქმისთვის საბოლოო წერტილის დასმას 25 ივლისისთვის ითხოვს. ამ რიცხვში ევროპული ფეხბურთის შეფებს ჩემპიონთა ლიგასა და უეფას თასზე მონაწილე გუნდების სრული სია სჭირდებათ. თუ სააპელაციო სასამართლო ტრიბუნალის განაჩენს ბათილად არ ცნობს, მაშინ ჩემპონთა ლიგაში „რომას“, „კიევოს“ და „პალერმოს“ მოუწევთ მონაწილეობა.

პაპუნა ქედია

რა არის აქ გაუგებარი?

ჯიჯი ბუფონის ტრანსფერი „იუვენტუსიდან“ „მილანში“, როგორც ჩანს, აღარ გამოვა, რადგან მილანელებმა კრისტიან აბიატი „ტორინოს“ მიყიდეს. გაუგებარია? მოდი, გასაგები რომ გახდეს „ბებერი ქალბატონის“ ლოგიკას მივყვეთ და მის სპორტულ დირექტორ ალესიო სეკოს მოვუსმინოთ:

„აბიატის „ტორინოში“ გაყიდვამ ბუფონის „მილანში“ გადასვლის შანსი მინიმუმამდე შეამცირა. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე დღის წინ „მილანის“ წარმომადგენლებთან ვილაპარაკეთ და შევთანხმდით, რომ ბუფონის სანაცვლოდ, გარკვეულ თანხას და აბიატის გვაძლევდნენ“ — თქვა შავ-თეთრების წარმომადგენელმა.

რა იქნება მომავალში, გაუგებარია. რა ბედი ეწევა ბუფონს, რომელიც „იუვენტუსს“ სერია B-ში ჩაყვება? ოთხშაბათს გავრცელებული ხმების თანახმად, მისი შეძენა „ინტერს“ სურდა, თუმც ბუფონის, ალბათ, „იუვეში“ დარჩება.

გარდა ამისა, სეკომ განაცხადა, რომ მადრიდის „რეალს“ „იუვენტუსისგან“ ემერსონი, ფაბიო კანავარო და ჯანლუკა ძამბროტა სურს.

„რამდენიმე დღეში შევხვდებით მადრიდელებს და უფრო დაწვრილებით დაველაპარაკებით. ჩვენ ფეხბურთელების გაყიდვაზე უარს არ ვამბობთ, მაგრამ თანხა აუცილებლად ადექვატური უნდა იყოს“ — ბრძანა დირექტორმა.

რამდენადაც პრესისთვის გახდა ცნობილი, „რეალი“ „ბებერ ქალბატონს“ სულ, დაახლოებით, 40 მილიონ დოლარს სთავაზობს, მას კი 55 მილიონი უნდა.

ხოლო, ვინც „იუვეში“ ნამდვილად დარჩება, ალესანდრო დელ პიერო და პაველ ნედველი იქნებიან.

სეკო: „მე ველაპარაკე ალესანდროს და მან მითხრა, რომ პაველთან ერთად რჩება.“

პაპუნა ქედია

არ ვნანობთ

ტურინის „იუვენტუსის“ ახალწვეულები ვალერი ბოჟინოვი და მარკო მარკიონი არ ნანობენ, რომ „დელე ალპიზე“ გადაბარგდნენ და სერია B-ში მინუს 30 ქულით თამაში არ აშინებთ.

„ახლაც იგივე ნაბიჯს გადავდგამდი, სხვაგან არსად წავიდოდი. რა თქმა უნდა, როცა „იუვეში“ გადმოვედი, რაც მოხდა ამას ვერ წარმოვიდგენდი, მაგრამ ეს აზრს ვერ შემაცვლევინებს. „იუვენტუსი“ ის კლუბია, რომელშიც ნებისმიერი ფეხბურთელი ისურვებდა თამაშს“ — განაცხადა მარკიონიმ.

მარკიონი „იუვენტუსში“ გადასვლას ჯერ კიდევ იანვარში დათანხმდა, ხოლო ამ ზაფხულს, როცა „პარმასთან“ კონტრაქტის ვადა ამოეწურა, თავისუფალი აგენტის სტატუსით ოფიციალურად ჩაირიცხა „ბებერ ქალბატონში“. საკმაოდ ნიჭიერი შემტევი ნახევარმცველი მარჩელო ლიპიმ გერმანიაში არ წაიყვანა, მაგრამ სარეზერვო ოთხეულში კი ჰყავდა. თუმცა მაესტროს მისი გამოყენება აღარ დასჭირვებია.

ვალერი ბოჟინოვი: „როგორც კი გავიგე „იუვენტუსში“ გადასვლის შანსი მქონდა, ერთი წუთიც არ მიფიქრია, მყისვე დავთანხმდი. ეს დიდი კლუბია და მასში მოხვედრა ყველასთვის საამაყოა. ეს ჩემს ცხოვრებაში უდიდესი შანსია და მინდა, დავამტკიცო, რომ ტურინელები ტყუილად არ დაინტერესებულან ჩემით. მაქსიმუმს გავაკეთებ იმისთვის, რომ სერია A-ში მალე დავბრუნდეთ და „ბებერმა ქალბატონმა“ ძველებურად ტიტულებისთვის იბრძოლოს“.

20 წლის ბულგარელი ფორვარდი „იუვენტუსმა“ „ფიორენტინასგან“ ინათხოვრა, ბოლომდე გამოსყიდვის პერსპექტივით. ბოჟინოვს, რომელიც ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ ფორვარდად ითვლება, იტალიურ ფეხბურთში თამაშის საკმაო გამოცდილება აქვს და ტურინელებსაც მისი ძალიან ეიმედებათ.

„ჩვენს წინააღმდეგ სერია B-შიც ყველა განსაკუთრებული მონდომებით ითამაშებს. თანაც იქ სხვაგვარი სპეციფიკაა და მძიმე ბრძოლა გველის. თუმცა „იუვენტუსს“ ყველას დამარცხება შეუძლია, რისთვისაც კონცენტრირებულნი და

მარკო მარკიონი

მაქსიმალურად მონდომებულნი უნდა ვიყოთ. დანარჩენი მინდორზე გამოჩნდება“ — დასძინა ბოჟინოვმა.

გიორგი ქაქაბაძე

ტომაზის ლევანტეში დეტალები დარჩა



პრიმერადივიზიონში აღზევებული „ლევანტე“ მომავალი სეზონისთვის გაძლიერებას აგრძელებს. ვალენსიელებმა ვეტერანი იტალიელი ნახევარმცველი დამიანო ტომაზი დაიმატეს და საცაა „დეპორტივოდან“ სეზარსაც იყიდიან.

„ტომაზი უკვე „ლევანტეს“ მოთამაშეა, მხოლოდ ფორმალური დეტალები დარჩა მოსაგვარებელი, რასაც მალე მოევლება“ — აღნიშნა ვალენსიელთა პრეზიდენტმა პედრო ვილიაროელმა.

32 წლის ტომაზი 1996 წლის მერე „რომაში“ თამაშობდა და დედაქალაქელებთან კონტრაქტი რამდენიმე დღის წინ გაწყვიტა. მას იტალიის ნაკრებშიც არაერთხელ უთამაშია და საკმაო ხნის მანძილზე სერია A-ს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ.

„ლევანტეში“ გადასვლის წინააღმდეგი არაა ესპანეთის ნაკრების ყოფილი საყრდენი ნახევარმცველი სეზარიც. თუმცა ვალენსიელებს ლაკორუნიელებთან ჯერ კიდევ გარკვეული დეტალები აქვთ შესათანხმებელი.

შეგახსენებთ, რომ „ლევანტემ“ აქამდე ორი გამოცდილი ფრანგი ფეხბურთელი დაიმატა, ნახევარმცველი ლორენ რობერი და მცველი ფრედერიკ დეუ.

კოკი კანდელაკი

ოცდაორგოლიანი ოთხი წლით

ინგლისურმა „ჩარლტონმა“ თავის საუკეთესო ბომბარდირ დარენ ბენტთან კონტრაქტი ოთხი წლით გაახანგრძლივა. იგი ლონდონურ კლუბში გასული სეზონის დასაწყისში „იფსვიჩიდან“ 2,5 მილიონი გირვანქის სანაცვლო გადავიდა და კლუბის იმედები ნამდვილად გაამართლა.

პრემიერლიგაში გატანილი 18 გოლით ბენტი ჩემპიონატის საუკეთესო ინგლისელი მეგოლე გახდა. სულ კი მან „ჩარლტონის“ მაისურით 22 გოლი შეაგდო. თუმცა ბევრისთვის მოულოდნელად, სვენ გორან ერიკსონმა იგი მუნდიალის მიღმა დატოვა. ეროვნულ ნაკრებში მისი დებიუტი მარტში, ურუგვაისთან შეხვედრაში შედგა.

გასული სეზონის პრემიერლიგის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელთა სიაში ბენტი მეორე იყო. იგი მხოლოდ უეინ რუნის ჩამორჩა. მის სახელს რამდენიმე ინგლისურ გრანდს უკავშირებდნენ, მაგრამ ეს ჭორები „ჩარლტონთან“ კონტრაქტის გახანგრძლივებით გაქარწყლდა.

დარენ ბენტი: „მიხარია, რომ პრესაში გავრცელებულ ჭორებს წერტილი დავუსვი. სასიამოვნოა, როცა შენს სახელს გრანდებს უკავშირებენ, მაგრამ ჩვენმა შეფმა რიჩარდ მიურეიმ კარგად იცის, რომ ვრჩები და აქ ყველას პატივს ვცემ. „ჩარლტონის“ ნდობა ბოლომდე უნდა გავამართლო, ამ კლუბის ძალიან მადლიერი ვარ.“

გიორგი კაკაბაძე

ფერგიუსონმა მიუჯახუნა

როგორც „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, მისმა კლუბმა რუუდ ვან ნისტელროის საყიდლად კარს მიმდგარი მადრიდის „რეალი“ უარით გაისტუმრა.

„ჩვენი კლუბი ამ ტრანსფერის თაობაზე არავის გარიგებია — თქვა ფერგიუსონმა — ჩვენ „რეალის“ წინადადებაზე უარი განვაცხადეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ნისტელროი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოთამაშედ რჩება“.

სერ ალექსმა ეს სამხრეთ აფრიკაში, „კაიზერ ჩიფსთან“ ამხანაგური მატჩის 1:0 მოგების შემდეგ თქვა.

შეგახსენებთ, რომ ესპანური მედია ამტკიცებდა, რუუდ ვან ნისტელროი „რეალმა“ 17,54 მილიონი დოლარის სანაცვლოდ უკვე იყიდაო, არადა ფერგიუსონს ნათქვამი ჰქონდა, რომ ჰოლანდიელ ფეხბურთელს იაფად არავის მიყიდიდა — თავად „იუნაიტედმა“ მასში 2001 წელს 34,73 მილიონი გადაიხადა.

და აი, ფერგიუსონის განცხადებას ესპანური ბოდიშიც მოყვა. კერძოდ, საკუთრივ „რეალმა“ განაცხადა, რომ შეცდა მისი საინტერნეტო ვებ გვერდი Realmadrid.com, რომელმაც იმ ფეხბურთელთა მონაცემები ჩამოწერა, რომლებიც შესაძლოა „სამეფო გუნდში“ გადავიდნენ და უნებლიედ მასში რუუდ ვან ნისტელროიც ჩაწერა. ვან ნისტელროის მონაცემები მადრიდში მხოლოდ შიდასკლუბო გამოყენებისთვის ჰქონიათ.

პაპუნა კედია

მენავთობე ჯეი-ჯეი

მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ტექნიკურ ფეხბურთელად აღიარებული ჯეი-ჯეი ოკოჩა კარიერას ყატარში გააგრძელებს. მან ადგილობრივ „სპორტ კლუბთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ნიგერიელი ნახევარმცველი 2002 წელს პსჟ-დან „ბოლტონში“ გადავიდა და აქამდე „რიბოკზე“ თამაშობდა. ბოლტონელთა რიგებში მან 123 მატჩი ჩაატარა და 18 გოლი გაიტანა. მაისის მერე კი იგი თავისუფალი აგენტი იყო და საბოლოოდ ყატარში წასვლა არჩია.

„რა თქმა უნდა, ჯეი-ჯეი აქ იმიტომ ჩამოვიდა, რომ წარმატებების მიღწევაში დაგვეხმაროს. მან უკვე გაიარა სამედიცინო შემოწმება და მალე გუნდს ჩეხეთში შეკრებაზე შეუერთდება“ — აღნიშნა „სპორტ კლუბის“ ერთ-ერთმა დირექტორმა, შეიხმა იასიმ ბინ ჰამად ბინ ნასერ ალ ტანიმ.

ვთქვათ ისიც, რომ ოკოჩას დებიუტი ეროვნულ ნაკრებში 1993 წელს შედგა. იგი 90-იანი წლების „არწივების“ ჩინებული გუნდის ერთ-ერთი ლიდერი იყო. მან მოიპოვა 1996 წლის ოლიმპიადის ოქროს მედალი და ნათამაშები აქვს 1994, 1998 და 2002 წლის მუნდიალებზე. სანაკრებო კარიერა წლეულს დაასრულა, აფრიკის თასზე კოტ დივუართან ნახევარფინალში მარცხის შემდეგ.

გიორგი კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაროშის ზაპოი

რაც მსოფლიო ჩემპიონატი დამთავრდა, მილან ბაროში სულ მთვრალია; ასე იუწყებიან ჩეხური გაზეთები.

„ასტონ ვილას“ დამატებითი შვებულება მიუცია თავლაფდასხმულისთვის, დაისვენოსო.

გაზეთ „ბლესკის“ რეპორტიორს ბაროში ერთ ღამის კლუბში წელსზევით შიშვლად მოცეკვავე და თმაზე პრეზერვატივშენასკვული ჩაუჭერია.

მერე ბაროშს ჩხუბიც აუტეხია ქორწილში.

გაზეთი „დანეს“ კი წერს, რომ ბაროში ეჭვქვეშ აყენებს თავის სახელსა და დიდებას.

ჩეხთა ძველ ვარსკვლავ რადეკ დუდეკს კი ჩამთვრალი ასე გაუფრთხილებია: „ფორმაში შესვლასაც კი ვერ მოასწრებ, ერთთვიან ლოთობას გამონელება არ უნდა?“

ბაროშს, თურმე, „ჰამბურგი“ ეპატიჟებოდა და უარი უთქვამს.

შეძლებისდაგვარად ბოდიშიც მოუხდია: მოზარდთათვის სამაგალითო უნდა ვიყო, მე რა დამემართაო.

ირაკლი გამყრელიძე

ოლიერის შემოუბრუნდა



„ასტონ ვილაში“ ვითარება იძაბება.

მოჯანყე ფეხბურთელებისა და ძუნწი თავმჯდომარის შეხვედრის წინ ირკვევა, რომ ფეხბურთელები თავმჯდომარეს, მენეჯერ დევიდ ოლირის საწინააღმდეგო რამეებსაც ეტყვიან.

ნელ-ნელა ირკვევა, რომ ფეხბურთელები ოლირის უფრო ვერ იტანენ, ვიდრე ელისს და ერთი სული აქვთ, როდის მოიშორებენ მენეჯერს.

არადა, თავიდან საქმე ისე ჩანდა, რომ ვილელებს 82 წლის ელისის სიძუნწე ადგათ ყელზე.

ამას იუწყებოდა მედიით გავრცელებული სკანდალური განცხადება.

ოლირი თავიდანვე ამბობდა, რომ ამ განცხადებისა არაფერი იცოდა. ახლა კი აშკარაა, რომ უმალ მას მოისვრიან კლუბიდან, ვიდრე რამე სხვას შეცვლიან.

შემცვლელებზეც ალაპარაკდნენ: ან ალან კირბიშლი, ანაც მარტინ ონილი...

თუმცა, ჯერჯერობით, რეალური არაფერია.

ირაკლი გამყრელიძე

ქორწილიდან ჩელსიში



ინგლისური მედია იუწყება, რომ „არსენალის“ მარცხენა მცველი ეშლი კოული ათიოდ დღეში უკვე „ჩელსის“ ფეხბურთელი იქნება.

ფასი 16 მილიონი გირვანქაა.

ასე დასრულდება კოულის და მაურინიუს საიდუმლო შეხვედრით დაწყებული ისტორია, რომელიც ფეხბურთელს 75 ათასიან ჯარიმად დაუჯდა. ეს ამბავი თავად კოულს უთქვამს მეგობრებისთვის თავსსავე ქორწილზე, გასულ შაბათს.

მის მაგივრად კი, ახალ, „ეშბარტონ გროუზე“, ალბათ, ლილიან ტურამი გადავა — „იუვენტუსის“ დღევანდელი ისტორია ამის საშუალებას იძლევა.

ირაკლი გამყრელიძე

პოცომ ლიდერები დააპატიმრა

ვინჩენცო იაკინტა

იტალიური „უდინეზეს“ მფლობელმა ჯანპაოლო პოცომ განაცხადა, რომ გუნდის ლიდერები — სულეი ალი მუნტარი და ვინჩენცო იაკინტა — არ გაიყიდებიან. მას მიაჩნია, რომ თუ კლუბი წამყვან მოთამაშეებს შეინარჩუნებს, უდინეზელებს ოთხეულში მოხვედრა ძალუძთ, რაკი „იუვენტუსი“ „ფიორენტინა“ და „ლაციო“ სერია B-ში დაქვეითდნენ.

„მუნტარის გაყიდვას გამოვრიცხავ. არ წავა არც იაკინტა. მისი სრულფასოვანი შემცვლელი იტალიაში არ არის. უცხოელ ფეხბურთელს კი სერია A-სთან შესაგუებლად ერთი წელი დასჭირდება“ — თქვა პოცომ.

მუნტარიმ გასულ სეზონში კარგად ითამაშა და მუნდიალზეც გამოიჩინა თავი. განელ ნახევარმცველს მსურველები ინგლისიდან გამოუჩნდნენ, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ბოლტონის“ თამადობით.

რაც შეეხება იაკინტას, მას უკვე რამდენიმე წელია, რომელიმე დიდ კლუბში სურს გადასვლა. გასულ სეზონში ამის გამო „უდინეზეს“ შეფობასთან საკმაო ხანს გაბუტული იყო და სათადარიგოთა სკამზე იჯდა, თუმცა მერე კლუბთან კონტრაქტი მაინც გაახანგრძლივა. ამჟამად მისით „რომაა“ დაინტერესებული, რომელსაც უდინელთა ყოფილი თავკაცი ლუჩანო სპალეტი წვრთნის, მაგრამ პორტო თავისას არ იშლის. იაკინტას, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე მარჩელო ლიპის შეცვლებზე შეჰყავდა და საკმაოდაც იყენებდა, ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია.

კოკი კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდიში ბილდიდან

ბერლინის „ჰერტას“ ბრაზილიელმა ლიდერმა მარსელინიომ კლუბს და ფანებს ბოდიში მოუხადა. საქმე ის არის, რომ 31 წლის პლეიმეიკერი დასასვენებლად სამშობლოში იმყოფებოდა და გუნდს რვა დღის დაგვიანებით შეუერთდა.

თანაკლუბელები ბრაზილიელს ცივად შეხვდნენ, ხოლო „ჰერტას“ მწვრთნელ ფალკო გიოტცს უეფას თასზე მისი „მოსკვასთან“ თამაშისთვის განაცხადში შეყვანა არც უფიქრია. შედეგად, ბერლინელებმა საკუთარ კედლებში ვერ სძლიეს რუსებს (0:0) და ახლა შემდეგ ეტაპზე გასვლა ცოტა გაუჭირდებათ. მარსელინომ კი ბოდიში ცნობილი გერმანული გამოცემის, „ბილდის“ ფურცლებიდან მოიხადა.

„ძალიან შევცდი, რისთვისაც ბოდიშს ვუხდი კლუბს და გულშემატკივრებს. იმედია, „მოსკვასთან“ საპასუხო შეხვედრაში თამაშის საშუალება მომეცემა. „ჰერტა“ მიყვარს და აქ დარჩენა მინდა“ — თქვა მარსელინიომ.

კოკი კანდელაკი

არენა მეიჯორზე შესვეს

აშშ-ს ნაკრების ყოფილი მწვრთნელი ბრიუს არენა მეიჯორლიგის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად წარმატებული კლუბის, ნიუ იორკის „რედ ბულზის“ თავკაცად დაინიშნა. იგი ამავდროულად გუნდის სპორტული დირექტორიც იქნება და ფეხბურთელებს შეარჩევს, როგორც „რედ ბულზის“ ძირითადი, ასევე სარეზერვო და ახალგაზრდული გუნდებისთვის.

54 წლის, იტალიური ფესვების მქონე ამერიკელი აშშ-ს 8 წლის მანძილზე წვრთნიდა და ქვეყნის ისტორიაში საუკეთესო მწვრთნელად მოიაზრება. თუმცა იგი გერმანიის მუნდიალზე ამერიკელთა არადამაჯერებელმა თამაშმა „შეიწირა“ და პოსტიდან დაითხოვეს. შეგახსენებთ, რომ აშშ ჯგუფში ჩეხებთან განადგურდა 0:3, ფრედ 1:1 ითამაშა მომავალ მსოფლიოს ჩემპიონ იტალიასთან და ბოლო, გადამწყვეტი მატჩი წააგო განასთან ანგარიშით 1:2. ცხადია, ეს შედეგი წარმატებულად არ ჩაითვალა, არენა ჩემპიონატისთვის ნაკრების არასათანადოდ მომზადებაში დაადანაშაულეს.

არენა „რედ ბულზის“ მწვრთნელის რანგში პირველ მატჩს 12 აგვისტოს ჩაატარებს, როდესაც მისი ახალი კლუბი ამერიკაში ტურნეზე ჩასულ ჩემპიონთა ლიგის ტრიუმფატორ „ბარსელონას“ ამხანაგურად გაეჯიბრება.

გიორგი კაკაბაძე

ახალი მაკელელე

„პორტსმუთი“ პირად სატრანსფერო რეკორდს ამყარებს:

„ბენფიკადან“ 10 მილიონ გირვანქად მიჰყავს 20 წლის ნახევარმცველი მანუელ ფერნანდეში, რომელსაც ჟო მაურინიუმ „ახალი კლოდ მაკელელე“ უწოდა.

ზღვისპირელთა ბოსმა ჰარი რედნაპმა თქვა: „ბიჭი უზომოდ ნიჭიერია. ნაკრებშიც მიწვეულია და ჩვენც ძალიან გამოგვადგება.“

თავად ფერნანდეშიც გახარებული ყოფილა პრემიერლიგაში მოხვედრით.

ირაკლი გამყრელიძე

ლაპორტას ყავლი გაუვიდა

ესპანელმა მოსამართლემ „ბარსელონას“ საპრეზიდენტო არჩევნების დაუყოვნებლივ ჩატარება დაავალა. მიზეზი: კლუბის რამდენიმე წევრმა იჩივლა, რომ ახლანდელმა პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ ოთხი წელიწადი უკვე დაამთავრა.

„ახალი დირექტორატის ასარჩევად ახალი არჩევნები რაც შეიძლება მალე უნდა დაინიშნოს — ბრძანა მოსამართლე რობერტო გარსია კენისეროსმა, რომელსაც შეახსენეს, რომ 2003 წლის 16 ივნისს არჩეულმა ლაპორტამ ამ არჩევნებით გაიფორმა ის, რაც მანამდე ერთი წელიწადის განმავლობაში უკვე იყო.

„ბარსას“ ბოლოდროინდელი წარმატებები სწორედ ლაპორტას სახელთან არის დაკავშირებული. მართალია, მან წინასაარჩევნო დაპირება ვერ აასრულა და ინგლისელი დევიდ ბექემი „კამპ ნოუზე“ ვერ მიიყვანა, მგრამ სამაგიეროდ შეიძინა ბრაზილიელი რონალდინიო, რომლის დახმარებითაც კატალონიურ კლუბმა დიდი ჯილდოები მოიგო.

პაპუნა კედია

ამხანაგური მატჩები

მიონხენგლადბახი (გერმანია) 2:1 **ბრიუგე** (ბელგია)
ლევსკი (ბულგარეთი) 3:2 **კორონა** (პოლონეთი)
ლე მანი (საფრანგეთი) 1:3 **ლე ავრი** (საფრანგეთი)
ბრედა (ჰოლანდია) 1:2 **სტიაუა** (რუმინეთი)
ნიცა (საფრანგეთი) 0:1 **სოშო** (საფრანგეთი)
ტოტენჰემი (ინგლისი) 2:0 **სელტა** (ესპანეთი)
უნტერჰახინგი (გერმანია) 0:0 **ვისლა** (პოლონეთი)
ფრაიბურგი (გერმანია) 0:1 **ტრაბზონსფორი** (თურქეთი)
ტრანმერი (ინგლისი) 2:2 **ვულვერჰემპტონი** (ინგლისი)
როვერსი (ინგლისი) 0:1 **ვესტ ბრომვიჩი** (ინგლისი)
მაკლსფილდი (ინგლისი) 0:1 **ლესტერი** (ინგლისი)
სპარტა (ჩეხეთი) 2:0 **კლუჟი** (რუმინეთი)
ბერი (ინგლისი) 0:0 **ბარნლი** (ინგლისი)
მუსკრონი (ბელგია) 1:3 **ლანსი** (საფრანგეთი)
ლივინგსტონი (შოტლანდია) 0:2 **ნორვიჩი** (ინგლისი)
დენ ბოსხი (ჰოლანდია) 0:1 **ტვენტე** (ჰოლანდია)
კანი (საფრანგეთი) 0:2 **მონაკო** (საფრანგეთი)
სენტ ეტიენი (საფრანგეთი) 5:2 **ლეგია** (პოლონეთი)
ტულუზი (საფრანგეთი) 2:1 **ლიბურნი** (საფრანგეთი)
ლორიანი (საფრანგეთი) 0:0 **გენგამი** (საფრანგეთი)
ვიტესი (ჰოლანდია) 2:0 **გენჩლერბირლიგი** (თურქეთი)
ტელსტარი (ჰოლანდია) 1:1 **ნაიმეგენი** (ჰოლანდია)
ვიგორი (ბელგია) 2:2 **ბევერენი** (ბელგია)

ფაბიო კაპელო: მოულოდნელობის ეფექტი და თავისუფლება

დიდ ფეხბურთში მოღვაწე ხალხი ხშირ შემთხვევაში საშინლად ცრუმორწმუნეა. თითოეულ მათგანს თავისი ოფოფები ჰყავს — ზოგი მოედანზე გამოსვლის წინ საყვარელ სიმღერას მთელი ხმით მღერის („ანდერლეხტისა“ და შვედეთის ნაკრების ნახევარმცველი კრისტიან ვილჰელმსონი) და ზოგი გეტრებში მშობლების ფოტოებს ინახავს (სიდნეი გოვუ). ზოგიერთს კი, ასაკიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, მარტო ბედისადმი მტკიცე რწმენაც ჰყოფნის.

გასული სეზონის დასაწყისში, „იუვენტუსის“ მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ საკმაოდ საინტერესო მოსაზრება გამოთქვა, რამაც შეიძლება, დიდი მაესტროს ცხოვრებისეული ფილოსოფია ნაწილობრივ აგვიხსნას. აი, რა თქვა კაპელომ: „მე გულწრფელად მჯერა, რომ ბედი ადამიანის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, მაგრამ ისეც არ გაიგოთ, რომ ცხოვრებას ასე მარტივად აღვიქვამ. ჩემი აზრით, ჩვენი ცხოვრების დიდი ნაწილი უკვე წინასწარაა დაგეგმილი. თუმცა ადამიანი გონიერი არსებაა და გარკვეულ ეპიზოდებში წინასწარ ჩამოყალიბებული გეგმის შეცვლა შეუძლია. ეს, რა თქმა უნდა, კარგია. მოულოდნელობის ეფექტი რჩება და შენც თავისუფლებას ინარჩუნებ“.

დონ ფაბიოს მდიდარ საფეხბურთო კარიერაში ძირითადად სამი გუნდი არსებობს, რომელთნაც იტალიელი ბედითაა გადაჯაჭვული: „მილანი“, „რომა“ და „იუვენტუსი“. ამ გუნდებში თამაშობდა ფეხბურთელობისას კაპელო და მწვრთნელობის დროსაც ყველაზე დიდი ჯილდოები აქვე მოიპოვა.

თუმცა მსოფლიო ფეხბურთის გამოჩენილი სპეციალისტის ცხოვრებაში მადრიდის „რეალიცაა“, კლუბი, რომელშიც კაპელოს ყოფნა იმ მოულოდნელ, ბედისწერის გეგმების დამრღვევ ცვლილებას ჰგავს, თავადვე რომ ახსენებს.

სამეფო გუნდის საჭესთან პირველად, ფაბიო კაპელო უკვე ძალიან სახელგანთქმული მივიდა — „მილანთან“ ერთად 4 სკუდეტო და ჩემპიონთა თასი ჰქონდა მოგებული. გარდა ამისა, მაშინ ფაბიო პროფესიონალი ფეხბურთელების ვერსიით მსოფლიოს საუკეთესო მწვრნელადაც დაასახელეს. „მილანიდან“ მაესტრო, როგორც ამბობენ, ხასიათთან დაკავშირებული პრობლემების გამო წავიდა, მაგრამ... თუ ნამდვილი პრობლემის მოძებნა გვინდა, ადრიანო გალიანის, „როსონერის“ ეშმაკ ვიცე-პრეზიდენტს უნდა მივადგეთ. კაპელოს საფეხბურთო კრედო შედეგზე თამაშია, გალიანის კი ლამაზი ბურთაობაც უნდოდა, მოგებაც და ამის გამო რამდენჯერმე ჰქონდა „მილანის“ მწვრთნელთან შეხლა-შემოხლა. შემდეგ ვიცე-პრეზიდენტმა კაპელოს კონტრაქტში ერთი საინტერესო პუნქტი შეატანინა — „მილანს“ ყველა სეზონში თითო ჯილდო უნდა მოეგო, იქნებოდა ეს ჩემპიონთა თასი თუ შიდაიტალიური ტიტული. ცხადია, თავმოყვარე მაესტრო კაბალურ კონტრაქტს არ დაეთანხმა და მადრიდში გადაბარგდა, „სადაც იქაურებმა სიხარულით მიიღეს... „რეალი“ 1995-96-ის სეზონში მეექვსე ადგილზე იყო და მაშინდელ პრეზიდენტ ლორენცო სანსს და სამეფო გუნდს კაპელო ზეციურ მხსნელად მოევლინა — იტალიელმა გუნდის შემადგენლობის განახლების შემდეგ ესპანეთის პრიმერადივიზიონი მოიგო. თან, „რეალმა“ ქულათა რეკორდული რაოდენობა (92 ქულა) დაგროვა, რომლის მიღწევა მას შემდეგ პრიმერას ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო. თუმცა კაპელო სანსს ფინანსურ საკითხებზე ვერ შეუთანხმდა და „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გატარებული ერთი სეზონის მერე ისევ მილანში დაბრუნება არჩია.

იტალიურ გრანდში ხელმეორედ მისვლისას მაესტრომ წარმატების მიღწევა ვერ შეძლო „სან სიროს“ ბიჭებმა ჩემპიონატში გულშემატკივართა განმგმირავი — მეათე ადგილი აიღეს. კაპელომ ეს ძალიან განიცადა და გადაწყვიტა, სამწვრთნელო საქმიანობისგან ერთი წლით დაესვენა, რათა შეცდომები სერიოზულად გაეანალიზებინა. საით გაუწია დონ ფაბიოს გულმა? სპორტული კომენტატორობისკენ...

იტალიურ ტელემედიაში ძალიან მალე მიხვდნენ, ხელში რა მარგალიტიც ჩაუვარდათ — კაპელო არა მარტო მწვრთნელად გამოდგა გენიოსი, არამედ კომენტატორობის და ჟურნალისტობის იშვიათი ნიჭი გამოამჟღავნა. ტელემაგნატებმაც საჭირო კაცს კონტრაქტის გაგრძელება კიდევ ორი წლით შესთავაზეს, თუმცა დონ ფაბიომ მათი წინადადება თავაზიანად უარყო: „მე აქ იმიტომ მოვედი, რომ ჩემი ძირითადი საქმისგან დამესვენა. ტელევიზიაში ყოფნისგან ბევრი სასიამოვნო მოგონება დამრჩება, მაგრამ კომენტატორობა უფრო გართობა იყო ჩემთვის, ვიდრე სამუშაო. ახლა მზად ვარ, ნამდვილ საქმეს, ანუ მწვრთნელობას დავუბრუნდე...“

ამ განცხადებამ ბევრი წამყვანი კლუბის პრეზიდენტს აუჩქროლა გული, თუმცა სასურველი დამრიგებელი საბოლოოდ ფეხბურთელობისდროინდელ ძველ კლუბში, იტალიურ „რომაში“ მივიდა ბედის საცდელად. „რომას“ პრეზიდენტმა ფრანკო სენსიმ ბევრს აჯობა გამჭრიახობით — „ინტერი“, „ბარსელონა“, „ტოტენჰემი“ და სხვა გრანდები ხომ კაპელოზე გაფაციცებით ნადირობდნენ...

დედაქალაქურმა გუნდმა კაპელოს თავკაცობით 5 სეზონის განმავლობაში არა მარტო ნანატრი სკუდეტო მოიგო, არამედ ორჯერ იტალიის ვიცე-ჩემპიონიც გახდა. „რომა“ ერთი შეხედვით ბედნიერი კლუბი ჩანდა, ოღონდ ამ ბედნიერების უკან საშინელება იმალებოდა — მრავალმილიონიანი ვალები. სწორედ ამის გამო წავიდა კაპელო „იუვენტუსში“. „რომში რაც შემეძლო, გავაკეთე. ამ გუნდს ახალი სისხლი, ახალი ძლიერი ფეხბურთელები სჭირდებოდა, მაგრამ უფროსობას ფული აღარ ჰქონდა სატრანსფერო გარიგებებისთვის... რეგრესი გარდაუვალი იყო და ასეც მოხდა“ — იტყვის შემდეგ „დელე ალპიზე“ გადაბარგებული მაესტრო. „რომას“ ფანები კი ორ ნაწილად დაიყვნენ — პირველი, უფრო გონიერი ნაწილი ფაბიოს გუნდისთვის მოტანილი წარმატებებისთვის დღემდე ემადლიერება, მეორე კი უშვერად ლანძღავდა, როგორ თუ მიგვატოვეო...

კაპელომ კი ფრთები „იუვენტუსში“ გაშალა. „პროფესორს“ (ასე ემერსონმა „მონათლა“, ჯერ კიდევ „რომაში“ ერთობლივი მუშაობისას) ყველანაირი შესაძლებლობა ჰქონდა თავის გამოსაჩენად. ძვირადღირებული ფეხბურთელების ყიდვა გინდა? კი, ბატონო, ტურინელთა თავკაცობა საკმაოდ ძუნწია, მაგრამ რახან ახალი მწვრთნელის გენიოსობისა სჯეროდათ, ფულს ტრანსფერებში სახემოღუშულები, თუმცა გულუხვად ხარჯავდნენ... პრაგმატული ფეხბურთი გსურს? პრობლემა არაა — „შავ-თეთრებს“ ხომ ყოველთვის თამაშის ასეთი სტილი მოსწონდათ...

კაპელოს ეპოპეა ტურინში იქაურ თავკაცებთან კამათით დაიწყო. იუვენტუსელთა ხელმომჭირნეობაზე უკვე გითხარით და მათაც თავიდან დონ ფაბიოს სატრანსფერო გეგმები არ მოეწონათ, ძვირი დაგვიჯდებაო. „თქვენ ან ჩემს მიერ ნახსენები ფეხბურთელების ყიდვაზე უნდა იზრუნოთ, ან ახალი მწვრთნელის ძებნას უნდა შეუდგეთ„ — მშვიდად უპასუხა დამრიგებელმა. კლუბის უფროსობაც მიხვდა, ასეთ კაცს სხვაგან ვერ ვიშოვითო და უხმოდ გაიკრეს ჯიბეზე ხელი...

„პროფესორმა“ ახალი „იუვეს“ მშენებლობა შესანიშნავი ოთხეულის“ გარშემო დაგეგმა. აქედან ერთი, ჩეხი პაველ ნედვედი, ფაბიოს მისვლამდეც ნახევარდაცვის ლიდერი გახლდათ. დანარჩენი სამი კი (ემერსონი, კანავარო, იბრაჰიმოვიჩი) „იუვენტუსში“ თავად მიიყვანა. ბრაზილიელი ემერსონი „რომას“ ერთ-ერთი ლიდერი იყო, მაგრამ კაპელოს წინადადებაზე წამითაც არ შეყოვნებულა და საყვარელ მასწავლებელთან ახალ კლუბში გაგრძელა თანამშრომლობა. „ემერსონი ერთ-ერთი ჩემი საყვარელი მოთამაშეა. მაღალი პროფესიონალიზმი, გამარჯვებისადმი სწრაფვა, მწვრთნელის იდეების უსიტყვო მორჩილება მას პრაქტიკულად სრულყოფილ ფეხბურთელად ხდის. მოხარული ვარ, მასთან მუშაობა ისევ რომ მომიწევს“ — აღნიშნა მაშინ მაესტრომ, თუმცა ემერსონის სხვაგან გადაბარგებას „რომაში“ განსხვავებულად შეხვდნენ. „კაპელომ მხდალივით მიგვატოვა. ასევე მოიქცა მისი ერთგული დოსტი ემერსონიც. ორივენი ჩაძირვისთვის განწირული გემიდან სადღაც მდიდარ მეჯლისზე გაგვექცნენ... მე, სისხლით და ხორცით რომაელი, კაპელოს და ემერსონს ამას ვერასდროს ვაპატიებ“ — განაცხადა ფრანჩესკო ტოტიმ.

ლადო ხომერიკი

გაგრძელება იქნება

უვედეთი

ალსვენსკა. X ტური

გაის 1:0 გეფლე						
ჰამარბი	10	7	2	1	19:10	23
გიოტებორგი	10	5	3	2	16:9	18
აიკ	10	5	3	2	18:12	18
მალმიო	10	5	3	2	14:9	18
ელფსბორგი	10	4	5	1	14:10	17
იურგორდენი	10	4	4	2	11:8	16
კალმარი	9	4	2	3	12:8	14
გაის	10	3	3	4	9:12	12
გეფლე	10	3	3	4	8:12	12
ჰეკენი	10	2	4	4	12:13	10
ჰელსინგბორგი	10	2	4	4	13:15	10
ჰალმსტადი	10	1	5	4	4:9	8
იოსტერსი	10	1	2	7	4:19	5
იორგრიტე	9	0	3	6	6:14	3

Copa Toyota Libertadores '2006
მეოთხედფინალი
საპასუხო მატჩი
ლიბერტადი (პარაგვაი) 3:1 რივერ პლეიტი (არგენტინა) (2:2)

რეკლამა სარბიელ-ში
ტელ: 38-11-14,
877 54 55 00

სარბიელი & კროკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნოთ ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი						
		21 ივლისი						
19:00	33	სპარტაკი-სატურნი	1.60	3.30	5.30	1.07	1.22	2.03
		22 ივლისი						
18:00	34	ლოკომოტივი-ტომსკი	1.50	3.60	5.80	1.05	1.19	2.22
		სლოვაკეთი						
		22 ივლისი						
20:00	40	ინტერი-რუჟომბეროკი	3.40	3.20	1.90	1.64	1.21	1.19
20:00	41	ნიტრა-ჟილინა	2.45	2.90	2.65	1.32	1.27	1.38
20:00	42	პეტრჟალკა-სლოვანი	1.65	3.40	4.40	1.11	1.20	1.91
20:00	43	ტრენჩინი-დუბნიცა	2.05	3.10	3.20	1.23	1.24	1.57
20:00	44	ტრნავა-ბ.ბისტრიცა	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
20:00	45	სინეცი-კოშიცე	2.50	2.90	2.60	1.34	1.27	1.37
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		22 ივლისი						
18:00	60	მოლდე-ოდ გრენლანდი	2.25	3.00	3.00	1.28	1.28	1.50
21:00	61	ვოლერენგა-ლინი	2.25	3.20	2.65	1.32	1.21	1.44
		23 ივლისი						
20:00	62	ჰამარი-სანდეფიორდი	1.90	3.20	3.55	1.19	1.23	1.68
20:00	63	სტარტი-რუსენბორგი	2.90	3.10	2.20	1.49	1.25	1.28
22:00	64	ფრედრიკსტადი-ვიკინგი	2.30	3.00	2.75	1.30	1.25	1.43
		24 ივლისი						
21:00	65	სტაბეკი-ტრომსიო	1.90	3.20	3.60	1.19	1.24	1.69
		შვედეთი. ალსვენსკა						
		20 ივლისი						
22:00	78	ჰეკენი-იურგორდენი	3.10	3.00	2.10	1.52	1.25	1.23

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		22 ივლისი						
18:00	79	იორგრიტე-ჰელსინგბორგი	2.70	3.00	2.35	1.42	1.25	1.31
		23 ივლისი						
19:00	80	აიკ-ჰალმსტადი	1.80	3.30	3.85	1.16	1.22	1.77
19:00	81	გეფლე-მალმიო	2.75	3.00	2.35	1.43	1.26	1.31
		24 ივლისი						
21:00	82	იოსტერსი-გაის	2.35	3.00	2.70	1.31	1,25	1.42
		აშშ						
		20 ივლისი						
23:45	121	კოლორადო-ჩიკასი	1.95	3.20	3.30	1.21	1.22	1.62
		ევროპის ჩემპიონატი (19) პოლონეთი						
		20 ივლისი						
20:00	346	ავსტრია(19)-ჩეხეთი(19)	2.35	3.20	2.50	1.35	1.21	1.40
20:00	347	ესპანეთი(19)-შოტლანდია(19)	1.40	3.50	7.40	1.00	1.17	2.37
20:00	348	პორტუგალია(19)-თურქეთი(19)	2.15	3.20	2.75	1.28	1.20	1.47
20:00	349	პოლონეთი(19)-ბელგია(19)	2.45	3.10	2.50	1.36	1.23	1.38
		ნორვეგია. თასი						
		20 ივლისი						
20:00	324	ვიკინგი-ბოდიო გლიმტი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
21:00	325	სტარტი-ბრანი	2.45	3.20	2.50	1.38	1.23	1.40
		ლიბერტადორესის თასი						
		20 ივლისი						
23:45	262	ველესი-ჩიკასი	1.85	3.20	3.60	1.17	1.22	1.69

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10 — კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46 — მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200 — ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50 — მეტრო „ლრმალელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11
	ჭავჭავაძის გამზირი № 41
	გამსახურდიას გამზირი № 3
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13 — დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4
	დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი
	მესამე მასივი, ჯავახეთისა და კალოუბნის ქუჩების გადაკვეთა
	მელიქიშვილის ქუჩა №15
	ისანი -კახეთის გზატკეცილი — ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141
	მოსკოვის გამზირი №6
ქუთაისი	ციხეფერყანწელთა ქუჩა №4
გორი	სტალინის ქუჩა №14
თელავი	ერეკლე მეორის-ის ქუჩა №6
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა № 21
ოზურგეთი	იოანე პეტრიწის ქუჩა №3
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30
სამტრედია	თამარ მეფის №1
წნორი	სტალინის ქუჩა №1
რუსთავი	შარტავას ქუჩა №17-29
ზესტაფონი	დავით აღმაშენებლის №39
გარდაბანი	დავით აღმაშენებლის №12

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

საქართველოს თასი. ნახევარფინალი

ბაჩო კეთილაძის ფოტო

გიორგი საპრიაშვილმა და დანარჩენმა ლელოელებმა რუსთაველთა წინააღმდეგობა იოლად დაძლიეს

ლელო მაინც ლელომ გაიტანა

ლელო 31:12 ხარები

ლელო: ცხოვრებაშვილი (რცხილაძე), ცხაკაია, საპრიაშვილი, რამაზაშვილი, ჩიტიშვილი (დაუშვილი), მჭედლიშვილი, მძინარიშვილი (მაისურაძე), ახალაია, თოფურია, ხმალაძე, მანჯავიძე, ქიზიყურაშვილი, ზაალიშვილი, თოდუა, ყიასაშვილი (ცერცვაძე)

3ლ: თოდუა, ხმალაძე, ქიზიყურაშვილი; 2გ: ყიასაშვილი; 4ს: ყიასაშვილი;

ხარები: ნატრიაშვილი, კაკაბაძე, კაკიაშვილი, კობერიძე, ქარუხნიშვილი, ჩიკვაიძე, კაპანაძე, ცხადაძე, სამსონიძე, წიკლაური, თევზაძე, გ. ლობჟანიძე, ბალახაშვილი, ლამბაშიძე, შუბითიძე (ი. ლობჟანიძე)

2ლ: ნატრიაშვილი, ჩიკვაიძე; 1გ: ი. ლობჟანიძე

მსაჯი: მიხეილ ჩაჩუა

გუშინ ქართული რაგბის ტრადიციულ ალაგზე, ვაკეში, „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე საქართველოს თასის პირველი ფინალისტი გაირკვა.

ისე მოხდა, რომ თასის გათამაშების ჯგუფური ეტაპისას დაშლის პირას მყოფმა „ხულიგანამ" უარი თქვა ტურნირის გაგრძელებაზე და ჯგუფური ეტაპის მატჩების რაოდენობაც შემცირდა.

ამიტომ თასის კალენდარი შემჭიდროვდა და გუშინ ფინალისტების გარკვევაც დაიწყო. აქედანვე ვთქვათ, რომ ნახევარფინალებში გუნდები ასე დაწყვილდნენ: გუშინ თბილისის „ლელო" რუსთავის „ხარებს" დაუპირისპირდა, დღეს კი საქართველოს ჩემპიონი თბილისის „ლოკომოტივი" ქუთაისის „აიას" უმასპინძლებს.

ნახევარფინალი ერთმატჩაა და მასპინძლობის უპირატესობა იმ გუნდისაა, რომელმაც უკეთესი ადგილი დაიკავა ჯგუფურ ეტაპზე.

ვერ ვიტყვით, რომ გუშინ ამ უპირატესობით მოიგო „ლელომ", რომელიც საქართველოს ჩემპიონი სამი წლის წინათ გახდა — ქართული რაგბიში ალბათ ერთადერთი გუნდია, რომელსაც საკუთარი სარაგბო სკოლა აქვს და შევსებას აქედან იღებს. „ლელოებში" არაერთი ბორჯღალოსანი ავაჟკაცებდა — ეს გუნდი ახლაც რაგინდარა ასაკობრივი ნაკრებების დონორია.

გუშინ „ლელო" აშკარა ფავორიტი იყო, რაც თამაშითაც და მატჩის შედეგიდაც დადასტურდა. თუ არ ჩავთლით პირველ ტაიმს, როდესაც რუსთაველებმა გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, ლელოების უპირატესობა ულაპარაკო იყო. თბილისელებმა ყველაფერში აჯობეს მოწინააღმდეგეს და ახლა საფინალო მეტოქეს ელოდებიან.

ცალკე სათქმელია რუსთაველებზე, რომლებიც ბოლო სამი-ოთხი წელია, უსახსრობის და მავანთა მიერ პირის ტეხვის გამო, ბედის ანაბარა იყვნენ. რამდენიმე ქართულ კლუბში იმდენი რუსთაველი კუნთმაგარი და ჩუბინი ბიჭი იყო მომოფანტული, რომ ერთი კი არა, ბარე ორ გუნდს ეყოფოდა. ახლა, როგორც ჩანს, ისევ და ისევ მეგობრობის ამბავში, რუსთაველები ერთ გუნდში გაერთიანდნენ და აგერ საქართველოს თასის ნახევარფინალშიც გააღწიეს. ერთიც, ლევან ცაბაძის, მევლუდ მთიულიშვილის, გოდერძი შველიძის, პალიკო ჯიჯელიძის და მათი ამქარის გამზრდელ ქალაქს უპატრონოდ მიტოვებული სარაგბო გუნდი არ ეკადრება.

გუშინ რუსთაველები რაშიც ძლიერები იყვნენ, იმით მიაწვნენ მეტოქეს. როგორც ყოველთვის, ახლაც ფოლადივით გამძლე ბიჭებით არის ეს გუნდი სავსე. ეგაა, რომ რუსთაველებს მზრუნველი ხელი აკლიათ, რაც მათ თამაშსაც ეტყობა.

ერთი სიტყვით, ქართული რაგბის რუქაზე კვლავ გაჩნდა რუსთავი და თუ ვინმე ამ გუნდს მიხედავს, არც ძველი დიდება ჩანს შორეულ პერსპექტივად.

რაც შეეხება მეორე ნახევარფინალისტს, ის დღევანდელ ჯაზში გაირკვევა. ისტორიულად ძველი მეტოქეები „ლოკომოტივი" და ქუთაისის „აია" ვაკეში, საღამო ხანს დაეტაკებიან ერთმანეთს.

ბაჩო სვანიძე

ბაჩო კეთილაძის ფოტო

ირაკლი ყიასაშვილმა მეტოქეს 16 ქულა უთავაზა

ევროპის ჩემპიონატი. პლოვდივი. ბულგარეთი. 14-24 ივლისი

ქვანიამ მედალი გაინაღდა ახლა ქარელიშვილის ჯერია

ბულგარეთის ქალაქ პლოვდივში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე გუშინ მეოთხედფინალები დაიწყო. რინგზე ხუთი წონითი კატეგორიის რვა-რვა საუკეთესო ავიდა და გამარჯვებულმა ოთხეულებმა მინიმუმ ბრინჯაოს მედლები გაინაღდეს.

კვარცხლბეკზე ასვლა ერთ ქართველსაც აქვს გარანტირებული. 69 კილოგრამში მოჩხუბარმა კახაბერ ჟვანიამ ირლანდიელ როი შაჰანს აშკარა უპირატესობით სძლია და ბრინჯაოს მედალი გაინაღდა. ნახევარფინალში ჟვანია მასპინძელ სპას გენოვს ხვდება. ეს ბრძოლა ხვალ გაიმართება.

გუშინვე იჩხუბა საქართველოს ნაკრების ორმა ლიდერმა — ნიკოლოზ იზორიამ (54 კგ) და კონსტანტინე კუპატაძემ, მაგრამ... პირველმა ხორვატ მირსად ახმეტთან 28:32 წააგო, ხოლო მეორემ ბელარუს ვაზგენ საფარანიანცთან — 24:45.

მედლამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებს რევაზ ქარელიშვილს (75კგ), დღეს იგი ნახევარფინალში გასასვლელად უკრაინელ ოლექსანდრ უსიუკს დაუპირისპირდება.

ოთარ მაღლაკელიძე

კოკაი (შუაში) მომავალ ბაშოს დაწინაურებული შეხვდება

კოკაიმ კრიტიკოსები გააჩუმა კატიკოსი გაინაღდა

დადებითი ბალანსი — კატიკოსი — ქართველმა სეკიტორმა ლევან ცაგურიამ ნაგოიას ბაშოზე უჩვეულოდ ადრე გაინაღდა. კოკაიმ ზედიზედ მეხუთედ, მიმდინარე ტურნირზე კი მერვედ გაიმარჯვა და სარეიტინგო სიაში დაწინაურებაც გარანტირებული აქვს. ყოველი შემდგომი ქულით კი უფრო და უფრო მაღლა აიწევს.

დასავლეთის მეხუთე მაეგაშირად წოდებული ქართველი გუშინ კორეელ კასუგაოს მარცხენა ხელით გაუსწორდა, დღეს კი იმპერატორის თასზე მეოცნებე ტამანოსიმას დაეჭიდება.

წლევანდელი ფავორიტი ისევ იოკოძუნა ასასიორიუა. მონღოლმა „ცისფერმა დრაკონმა" მეთერთმეტე ტურში მეთერთმეტე ქულა აიღო და თასს კიდევ ერთი ნაბიჯით მიუახლოვდა. იოკოძუნას წისქვილზე მისი უახლოესი მდევრების წარუმატებლობამაც ასხამს წყალს. იმპერატორის თასის 16-გზის ამწევი მონღოლი ოძეკებს: ხაკუხოსა და ტიოტაიკაის უკვე ორი ქულით უსწრებს. ფინიშამდე კი ოთხი ტური რჩება.

ტურის დამაგვირგვინებელ ბრძოლაში — მუსუბინო-იტიბანში ასასიორიუს პირისპირ ოძეკი ტოჩიაძუმა დადგა. ეს დიდკაცი ერთადერთი სეკიტორი იყო მიმდინარე ბაშოზე მყოფთაგან, „ცისფერ დრაკონთან" შეხვედრებში უარყოფითი ბალანსი რომ არ ჰქონდა. 20 ბრძოლის შემდეგ 10-10-ჯერ ემარჯვათ. გუშინ ტოჩიაძუმაც სხვა მინუსბალანსიანებში გაერია. თან ასასიორიუსგან მოსროლილი ისე ჩავარდა მაყურებლებში, გასახდელში კოჭლობით წავიდა.

ფეხის ტრავმად დაუჯდა მარცხი ოძეკი ტიოტაიკაისაც. მისი დამამწუხრებელი ესტონელი გოლიათი ბალტი აღმოჩნდა. იოკოძუნას კვალში ჩამდგარი რიგითი მაეგაშირები ტამაკასუგა და ტამანოსიმა კი დაბალრეიტინგიან მეტოქეებთან — დეძიმასთან და ტოჩინოხანასთან დამარცხდნენ.

გაიოკოძუნების შანსს ჯერაც ინარჩუნებს ოძეკი ხაკუხო. 21 წლის მონღოლმა გუშინ ორმეტრიანი „ბალკანელი გულივერი" კოტოოსიუ წამოაქცია, დღეს კი ტოჩიაძუმას დაეჭიდება. კოტოოსიუს კიდევ უფრო მძიმე დღე ელის — ასასიორიუს ხვდება, ტამაკასუგა — ამინიკის, ხოლო ტიოტაიკაი — კოტომიცუკის.

ოთარ მაღლაკელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აპრილში ლადო ჩიხლაძემ და ირაკლი ლაბაძემ ფედერაციის პრეზიდენტი ლეილა მესხი გაახარეს

საქართველოს კოზირი: ლაბაძის ბალანსი

მოგება აუცილებელია, შემდეგი მატჩი საიუბილეოა

DAVIS CUP by BNP PARIBAS

ხვალიდან და კვირის ბოლომდე პოლონეთის ქალაქ გდანსკის თიხნარზე საქართველოს კაც ჩოგბურთელთა ნაკრები დევისის თასის ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფის მორიგ მატჩს ჩაატარებს მასპინძელთა გუნდის წინააღმდეგ და თუ მოიგებს, მერე ერთი გამარჯვებაც ბულგარეთსა და უნგრეთს შორის საუკეთესოსთან და ჩვენები ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ალზევდებიან.

პოლონელებთან მატჩი საქართველოს სადევისთასო ნაკრების ისტორიაში 49-ეა, არადა, წესით საიუბილეო, 50-ე უნდა ყოფილიყო, მაგრამ 2003 წელს, როდესაც ჩვენები ქვედა ზონიდან, ჯგუფურ ეტაპზე კარგი თამაშით ცდილობდნენ ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფში მოხვედრას, კვიპროსის ნაკრებმა თამაშზე უარი განაცხადა. მაშინ ჯგუფის მატჩებს ლატვია მასპინძლობდა და ქართველებმა თურქებსა და ნახსენებ კვიპროსელებს ერთნაირი ანგარიშით —2:1 მოუგეს, აზერბაიჯანელებს 3:0, მერე ნახევარფინალში მასპინძელი ლატვია 2:1 დაამარცხეს და ფინალში ისევ კვიპროსთან უწევდათ შეხვედრა, მაგრამ კუნძულელებმა ტრავმიანობის გამო თამაში ვერ შეძლეს და ჩვენებს უბრძოლველად გაეხსნათ გზა ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფისკენ.

ასე მოხდა და მას შემდეგ საქართველოს ნაკრებმა კიდევ ხუთი, ოღონდაც, უკვე კლასიკური, ხუთმატჩიანი მატჩი ჩაატარა — იტალიაში 2:3 წააგო, თბილისში 3:2 მოუგო ეგვიპტეს, ბულგარეთში 1:4 დამარცხდა, განაში 3:2 იმარჯვა და ბოლოს, სულ ახლახანს, აპრილში თბილისის სპორტის სასახლეში დაგებულ ხალიჩაზე 3:2 სძლია სამხრეთ აფრიკას.

ქართული ჩოგბურთის სადევისთასო ისტორია კი 1994 წლის 4 მაისს — კოტდივუარული ჰარდითა და ჯიბუტის ნაკრებთან 3:0 გამარჯვებით იწყება. მაშინ ჩვენები დებიუტანტები იყვნენ და, ბუნებრივია, ზონალურ ჯგუფში წარმატებული თამაშით ცდილობდნენ ზევით აღზევებას. პირველ ცდაზე არ გამოვიდა — ჯიბუტელთა მერე ჩვენებმა სან-მარინოსაც მოუგეს 2:1, მაგრამ მერე მასპინძლებთან მშრალად — 0:3 დამარცხდნენ და, მართალია, ბოლო ტურში ზამბიას თავად სძლიეს 3:0, ჯგუფში პირველი ადგილი კოტდივუარელებს დარჩათ.

იგივე განმეორდა მომდევნო, 1995 წელსაც. ამჯერად ჯგუფური ტურნირის მატჩებს სან-მარინო მასპინძლობდა. ქართველებმა 3:0 მოუგეს ტუნისს, 1:2 წააგეს მაკედონიასთან, კამერუნთან 3:0 იმარჯვეს და ნახევარფინალში კი 0:2 დამარცხდნენ ბულგარეთთან.

მესამე ცდა წარმატებული აღმოჩნდა. 1996 წლის მაისში თურქულ ჰარდზე ჩვენებმა თანმიმდევრობით დაჯაბნეს ტუნისი (2:1), სომხეთი (2:1), ბენინი (3:0), ბოსნია და ჰერცოგოვინა (2:1), მასპინძელი თურქეთი (2:1), ლიხტენშტაინი (2:1) და ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ერთი წლის შემდეგ, 1997 წლის მაისში თბილისს სლოვენიის ნაკრები ესტუმრა და დაძაბული ბრძოლა სტუმართა გამარჯვებით — 3:2 დასრულდა. თუმცა მერე ჩვენებმა თბილისშივე ნიგერია 5:0 გაანადგურეს და სადევისთასო პოზიცია შეინარჩუნეს. სამწუხაროდ, მომდევნო სეზონში იგივეს ჯაკეთება ვეღარ შევძელით — ჯერ პორტუგალიაში წავაგეთ 0:5, შემდეგ ასევე მშრალად დავმარცხდით ლატვიაში, კვლავ დაბლა, ზონალურ დონეზე დავქვეითდით და იქიდან ამოღწევას მთელი ხუთი წელი მოვანდომეთ.

1999 წელს ზონალური ეტაპის ჯგუფურ მატჩებს ესტონეთმა უმასპინძლა. იქაურ თიხაზე ქართველებმა კენიას 2:1 მოუგეს, ლიტვასთან იმავე ანგარიშით წააგეს, სომხებს კვლავ 2:1 სძლიეს, ზამბიას — 3:0 და მონაკოს ნაკრებთან 0:3 დამარცხდნენ. 2000 წელს ტურნირი, უკვე ტუნისში გაიმართა. პირველ მატჩში ჩვენებმა 3:0 მოუგეს მალტას, მერე ბოსნიასთან წააგეს მსგავსი ანგარიშით, ტოგოს 2:1 სძლიეს; იუგოსლავიასთან 0:3 დამარცხდნენ და ბოსნიელებთან მეორე მატჩში 2:1 კი იძალეს, მაგრამ ეს აღარაფერს შველოდა.

2001 წელს, უკვე აფრიკის სამხრეთით, ბოტსვანაში ჩატარდა ზონალური ტურნირი. იქაურ ჰარდზე ქართველებმა ხუთი მატჩი ჩაატარეს და მხოლოდ ორი მოიგეს, თანაც ორივე კენიასთან, ერთნაირი ანგარიშით — 3:0. აი, ლიტვასთან ჩვენები თავად დამარცხდნენ 0:3, ხოლო მადაგასკარისა და ბოტსვანის გუნდებთან უფრო საპატიო ანგარიშით — 1:2 წააგეს.

2002 წელი, სან-მარინოს თიხა და 5 შეხვედრაში მოპოვებული 4 გამარჯვება (უგანდასთან — 3:0, ლიხტენშტაინთან — 2:1, სან-მარინოსთან — 3:0, აზერბაიჯანთან — 2:1) და ერთი მარცხი ნიგერიასთან — 1:2. აი, მერე კი 2003 წელი დადგა, ლატვიურ თიხაზე საქართველოს ნაკრებმა როგორც იქნა დაძლია ზონალური ბარიერი და მას შემდეგ ევროაფრიკული ზონის მეორე ჯგუფზე დაბლა აღარც დაქვეითებულა.

სულ, დევისის თასზე ჩატარებული 48 მატჩიდან ჩვენმა გუნდმა 32 მოიგო და 16 წააგო. სხვადასხვა საფარის მიხედვით მოგება-წაგების ბალანსი ასეთია: თიხა — 19:11, ჰარდი — 12:4, ხალიჩა — 1:1, დარბაზში — 1:1.

ნაკრებში, როგორც ჩატარებული, ისე მოგებული მატჩების მხრივ რეკორდსმენია ირაკლი უშანგიშვილი, რომელმაც ერთეულთა 28 მატჩიდან 19 მოიგო, წყვილებში — 16-დან 10 და ჯამში კი 44 თამაშში 29-ჯერ იმარჯვა. წყვილთა შორის ასევე 10 მოგება, თანაც უფრო ნაკლებ — 14 შეხვედრაში, არის ვლადიმერ გაბრიჩიძის ანგარიშზე, ვისაც ერთეულთა 16 მატჩიდან 11 მოგებული აქვს.

საუკეთესო პროცენტული მაჩვენებელი კი ნაკრების დღევანდელი ლიდერის ირაკლი ლაბაძის ანგარიშზეა. ირაკლიმ ერთეულთა 11 შეხვედრიდან 10 მოიგო და მხოლოდ ბოლოს, წელს აპრილში წააგო ხუთსეტიანი თრილერი სამხრეთ აფრიკელ ვესლი მუდთან — 5:7, 6:4, 6:4, 3:6, 11:13. წყვილებშიც, ლაბაძეს 7 მატჩიდან მხოლოდ 1 აქვს წაგებული და პრინციპში, ჩვენი ნაკრების აღმასვლა სწორედ მის სახელთანაა დაკავშირებული — ლაბაძე სადევისთასო გუნდში 2003 წლიდან გამოჩნდა და მას შემდეგ ჩვენმა ნაკრებმა 10 ჩატარებული შეხვედრიდან 8 მოიგო და ისიც სათქმელია, რომ ბულგარელებთან შარშანდელ 1:4 წაგებულ მატჩში ირაკლის ტრავმის გამო არ უთამაშია.

ასე რომ, ლაბაძე ჩვენი გუნდის ერთგვარი თილისმაა და იმედია, ლადო ჩიხლაძესთან ერთად ირაკლი პოლონური ბარიერის დაძლევასაც მოახერხებს და ასეთ შემთხვევაში საიუბილეო, 50-ე სადევისთასო მატჩი საქართველოს ნაკრებისთვის მართლაც უმნიშვნელოვანესი იქნება — მოგება და ჩვენები მანამდე არნახულ სიმაღლეზე, ევროაფრიკული ზონის პირველ ჯგუფში ავლენ.

გია მუჯირი

სირენა: სერენა დაბრუნდა

კაცები
შტუტგარტი. გერმანია
თიხნარი. საპრიზო 586 250 €

მეორე წრე

ტომაშ ბერდიხი (2, ჩეხეთი) — ჰუგო არმანდო (აშშ) 7:5 6:3; **დიეგო ხუნქუეირა** (არგენტინა) — ფილიპო ვოლანდრი (14, იტალია) 6:3 6:4; **ნიკოლას ალმაგრო** (10, ესპანეთი) — დიეგო ჰარტფილდი (არგენტინა) 6:7 7:6 7:5; **ნიკოლას ლაპენტი** (ეკვადორი) — ფლორენ სერა (7, საფრანგეთი) 5:7 7:6 6:2

კაცები
ინდიანაპოლისი. აშშ
ჰარდი. საპრიზო 575 000 $

მეორე წრე

ფერნანდო გონსალესი (3, ჩილე) — სემ ქუერეი (აშშ) 6:3 6:4; ვინსენტ სპადეა (14, აშშ) — **რიკარდო მელო** (ბრაზილია) 6:3 6:1; **პოლ გოლდსტინი** (11, აშშ) — რაზვან საბაუ (რუმინეთი) 6:2 6:1; **რობი ჯინეპრი** (4, აშშ) — ალეხანდრო ფალა (კოლუმბია) 4:6 7:5 7:5; **ჯეფ მორისონი** (აშშ) — კევინ კიმი (13, აშშ) 6:2 6:2; **ენდი როდიკი** (2, აშშ) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:3 6:2

კაცები
შტუტგარტი. გერმანია. თიხნარი
საპრიზო 323 250 €

პირველი წრე

გილერმო კორია (1, არგენტინა) — რობინ ჰაასე (ჰოლანდია) 6:3 4:6 6:4; **სერხიო როიტმანი** (არგენტინა) — მარიან ჩილიჩი (ხორვატია) 6:3 6:1; **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — დენის გრემელმაირი (გერმანია) 6:2 7:5; **ტომაშ ზიბი** (ჩეხეთი) — სტივ დარცისი (ბელგია) 7:5 6:3; **მარკ გიკუელი** (საფრანგეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:2 6:4; **ტიემო დე ბაკერი** (ჰოლანდია) — ჟულიენ ბენეტო (8, საფრანგეთი) 6:3 6:3; **კარლოს მოია** (5, ესპანეთი) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 6:4 7:6; **ნიკოლას მასუ** (3, ჩილე) — ანდრეას ვინჩიგუერა (შვედეთი) 7:6 6:3; **ალბერტო მარტინი** (6, ესპანეთი) — ალბერტ მონტანესი (ესპანეთი) 6:2 6:2;

ქალები
ცინცინატი. აშშ. ჰარდი
საპრიზო 175 000 $

პირველი წრე

სერენა უილიამსი (აშშ) — ანასტასია მისკინა (2, რუსეთი) 6:2 6:2; **ბეტანი მატეკი** (აშშ) — შენეი პერი (აშშ) 3:6 6:1 6:2; **გიზელა დულკო** (8, არგენტინა) — მარტა დომახოვსკა (პოლონეთი) 7:5 6:3; **ელენა იანკოვიჩი** (5, სერბეთი) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 6:3 6:2; **მარიონ ბარტოლი** (6, საფრანგეთი) — ჩინ-ვეი ჩანი (ტაივანი) 6:2 6:3;

ქალები
პალერმო. იტალია. თიხნარი
საპრიზო 145 000 $

პირველი წრე

არავან რეზაი (საფრანგეთი) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:4 6:2; **ლუსი შაფაროვა** (4, ჩეხეთი) — ივანა აბრამოვიჩი (ხორვატია) 6:3 (უარი); **ლურდეს დომინგეს-ლინო** (8, ესპანეთი) — მარია სანჩეს ლორენცო (ესპანეთი) 6:3 1:0 (უარი); **ივეტა ბენეშოვა** (7, ჩეხეთი) — ანტონელა სერა ძანეტი (იტალია) 6:2 7:5; **ანაბელ მედინა გარიგესი** (2, ესპანეთი) — ლაურა პოუს ტიო (ესპანეთი) 6:3 6:1

დაბრუნებაც ასეთი უნდა — კორტზე მობრუნებულმა სერენა უილიამსმა ტანკივით გადაუარა ბოლო პერიოდში მშვენიერ ფორმაში მყოფ ანასტასია მისკინას და ყველას დაუმტკიცა, რომ მისი ჩოგბურთიდან ჩამოწერა ნაადრევია. უმცროსმა უილიამსმა ნათლად დაანახვა მთელ საჩოგბურთო სამყაროს, რომ ის სტატისტის როლით დაკმაყოფილებას არ აპირებს.

მისკინასთან უმცროსმა უილიამსმა მართლაც შთამბეჭდავი თამაში აჩვენა, ის თამაში, რომელმაც ამერიკელს რვა სლემტურნირი მოაგებინა და პირველი ნომერიც გახადა. გუშინ კორტზე კვლავაც ძველი სერენა იყო — უძლიერესი მოწოდებებით, მძლავრი თამაშითა და მეტოქის ფაქტობრივი წაშლით.

რაც მთავარია, ამერიკელი თავისთვის უჩვეულოდ აკურატულიც იყო, რაც სერენას საუკეთესო წლებშიც კი არ ახასიათებდა:

„კარგი დასაწყისი აუცილებელი იყო და, საბედნიეროდ, გამომივიდა. თანაც მართლა ცოტა შეცდომა დავუშვი. ვიცი, მისკინა რამდენად სახიფათო მეტოქეა, რის გამოც ვცდილობდი, ნაკლები შეცდომა დამეშვა, რომ მისთვის თამაშის შემოტრიალების შანსი არ მიმეცა“ — ხარობდა სერენა ნამატჩევს.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ძლივს ფორმაში შესული მისკინასთვის კი ეს შეიძლება დიდი დარტყმა აღმოჩნდეს — ასე უშანსოდ რუსს კარგა ხანია, არ წაუგია. ნასტია მატჩის შემდეგ ძალიან დაბნეული იყო და მხოლოდ ის თქვა, ამდენი ხანია, სერენა კორტზე არ გვინახავს და წარმოდგენა არ მქონდა, როგორ ითამაშებდაო.

ცინცინატიში მეტი საინტერესო აღარაფერი მომხდარა — შემდეგ ეტაპზე გავიდა ყველა ის, ვისაც ეს რანგით ეკუთვნოდა.

კაცების ტურნირების მიმოხილვა კი ინდიანაპოლისით დავიწყოთ, სადაც სათამაშო დღემ ამერიკული ნიშნით ჩაიარა. ტურნირს მხოლოდ 18 წლის სემ ქუერეი გამოეთხოვა, თუმც ეს არავის გაჰკვირვებია, რადგანაც ის მესამე ნომერ ფერნანდო გონსალესს ხვდებოდა.

სამაგიეროდ, შემდეგ წრეში გავიდნენ სპადეა, გოლდსტინი და შარშანდელი გამარჯვებული რობი ჯინეპრი, თუმც კი მან ალეხანდრო ფალასთან ბევრი იწვალა. მეორე წრე ადვილად გაიარა ენდი როდიკმაც, თუმც ეს მისი მეტოქის სისუსტის დამსახურება უფროა, ვიდრე თვითონ იანკის. ენდი-ბოის საკმაოდ მძიმე პერიოდი უდგას და მოუწევს იმის დამტკიცება, რომ ის კვლავ საჩოგბურთო ელიტის ნაწილია და რეიტინგში მეთორმეტე პოზიციამდე დაქვეითება მხოლოდ გარემოებათა უიღბლო თანხვედრის ბრალი იყო.

კახა ლომაშვილი

93-ე ტურ დე ფრანსი 2006, 1-23 ივლისი

ალპებში ახალმა სიომ დაუბერა

მიქაელ რასმუსენმა მთელი გზა ეულად იარა და უიშვიათესი გამარჯვება მოიპოვა

უძალლო ქვეყანაში კატები აყეფდებიანო, სწორედ ისეა წლევანდელი „ტურ დე ფრანსის" საქმე — არმსტრონგი წავიდა, ულრიხი და ბასო მოკვეთეს, ვალვერდე ეგრევე დაიმტვრა და ისე აირია საქმე, ძაღლი პატრონს ველარა სცნობს — ლიდერი, ფაქტობრივად. ყოველდღე იცვლება, ყვითელი მაისურა ხელიდან ხელში გადადის და იქნებ ისე მოხდეს, წლევანდელი „დიდი მარყუჟი" ვინმე ოსკარ პერეირო სიომ, ყველასთვის უცნობმა მრბოლმა მოიგოს.

თანამედროვე ველოსპორტის მთავარი ხალხის არყოფნაში მავანნი და მავანნი ფავორიტებად შერაცხეს. განსაკუთრებით იანკებს აქებდნენ, აქაოდა დიადი ლენს არმსტრონგის მიერ გზა აქვთ გაკვალული და ამ გზას გააგრძელებენო... ჯორჯ ჰინკეპი ეგრევე მოკვდა; ლევი ლეიფჰემერმა თავიდან მაგრად ჩაისვარა და, მართალია ბოლოსკენ, მთებში გამოიღვიძა, მაგრამ ეს გამოღვიძება აშკარად დაგვიანებული ჩანს; ფლოიდ ლენდისი კი თითქოს მაგრად იდგა, პელეტონს ვაკონტროლებ და პარიზში სწორედ მე შევალო ყითელი მაისურათი, მაგრამ გუშინ, ურთულესი მე-16 ეტაპის ბოლო, პირველი კატეგორიის ალმართში ჯიუტი ვირივით დადგა და თანაგუნდელს, ლეგენდარული ედი მერქსის ვაჟს, აქსელს რომ არ ეშველა, იქნებ ფინიშამდეც ველარ მისულიყო.

დიახ, ლენდისმა გუშინ სრული კრახი განიცადა და, თითქოს დალაგებული სურათი ისევ აიშალა. წინ ესპანური „ილერს ბალეარსის" 29 წლის მრბოლი ოსკარ პერეირო სიოა და მეორე ესპანელს, CSC-ის კარლოს სასტრეს თუ არ ჩავთვლით, სხვებს რაღაც არ უჩანთ საიმისო პირი, ეს პერეირო სიო პოდიუმიდან ჩამოაგდონ.

თანაც საამისოდ დროც აღარ რჩება — დღეს ბოლო სამთო ეტაპია, ოღონდაც ამ ეტაპის ფინიში ალმართში კი არა, ვაკეში იქნება და ზეგ კიდევ ინდივიდუალური რბოლა და, თუ პირველი ინდივიდუალური ეტაპის შედეგებს გავეცნობით, დავინახავთ რომ პერეიროს მაშინ არცთუ ბევრი წააგო იმ ხალხთან, ახლა კვალში რომ უსხედან. ლაპარაკია ანდრეას კლოდენზე, სირილ დესელზე, კედელ ევანსზე, დენის მენშოვსა და კრისტოფ მოროზე, თუმცაღა ამდენის ჩამოთვლაც აღარ არის საჭირო — რეალურად სიოს გადასწრება მხოლოდ სასტრეს, კლოდენს, დესელსა და ევანსსღა ძალუძთ.

გუშინ კლოდენმა მთელი T-მობაილის დახმარებითაც კი ვერაფერი მოუხერხა პერეიროს, თუმცაღა გერმანულმა გუნდმა იმდენი კი ქნა, რომ ლენდისი ხომ მოკვდა და კლოდენმა მენშოვიც წუთნახევრით ჩამოიტოვა საერთო ჩათვლაში.

ეტაპი მართლაც ურთულესი იყო — 2646 მეტრიანი გალიმბიერის უმაღლესი სირთულის მწვერვალი, ამავე კატეგორიის კრუა დე ფერი, იქვე მეორე კატეგორიის მწვერვალი და 182 კილომეტრიანი გზის ბოლოს ტუსურის პირველი კატეგორიის ალმართი. ამ გზაზე „რაბობანკის" დანიელი მიქაელ რასმუსენი ეგრევე წინ გაიქცა და „მთის მეფის" ტიტულსა და ამ ტიტულის სარგო წინწკლებიან მაისურას გამოდევნებულმა ოთხივე მთა ეულად დალაშქრა. რასმუსენს კარგა ხანს ლეიფჰემერი მისდევდა, მაგრამ ბოლო ამართში „გეროლშტაინერის" ლიდერს ძალა გამოელია და ამასობაში ლენდისიც დადგა. ამერიკელთა ოცნებებს წყალი შეუდგა და მდევართა მთავარ ჯგუფს სასტრე გაექცა. ამ ესპანელმა ზედ ბოლო ალმართის დაწყებისას შეუტია და დარჩენილი გზა მაგრადაც იარა, მაგრამ რასმუსენს ველარ დაეწია. უტეხმა დანიელმა ბრწყინვალე სტილში იმარჯვა და ფაქტობრივად გაინაღდა წითელწინწკლებიანი მაისურა. სასტრემ წუთი და 41 წამი წააგო და მერე ფინიშს პერეირო სიომ, ევანსმა და კლოდენმა უწიეს. შემდეგ ჯგუფში მორო, დესელი და იტალიელი კაუჩიოლი იყვნენ და ლეიფჰემერმა და მენშოვმა ამათ შემდეგღა მიაღწიეს ფინიშთან. ლენდისმა 10 წუთზე მეტი წააგო და ალბათ, საბოლოოდ ჩაიქნია ხელი.

დღეს კი, როგორც ვთქვით, ისევ მთებია — ორი პირველი, ერთი მეორე, ერთი მესამე და სულ ბოლოს კი უმაღლესი კატეგორიის და ეს ბოლო შანსია მათთვის, ვინც უძაღლო ქვეყანაში ყეფას აპირებს.

გია მუჯირი

19 ივლისი. მე-16 ეტაპი. ბურჟ დოიზანი — ტუსური. 182კმ

1. მიქაელ რასმუსენი (დანია, რაბობანკი)	5სთ 36წთ 4წმ
2. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+1წთ 41წმ
3. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, ილერს ბალეარსი)	+1წთ 54წმ
4. კედელ ევანსი (ავსტრალია, ლოტო)	+1წთ 56წმ
5. ანდრეას კლოდენი (გერმანია, T-მობაილი)	+1წთ 56წმ

საერთო ჩათვლა

1. ოსკარ პერეირო სიო (ესპანეთი, ილერს ბალეარსი)	74სთ 38წთ 56წმ
2. კარლოს სასტრე (ესპანეთი, CSC)	+1წთ 50წმ
3. ანდრეას კლოდენი (გერმანია, T-მობაილი)	+2წთ 29წმ
4. სირილ დესელი (საფრანგეთი, AG2R)	+2წთ 43წმ
5. კედელ ევანსი (ავსტრალია, ლოტო)	+2წთ 56წმ
6. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი)	+3წთ 58წმ
7. მაიკლ როჯერსი (ავსტრალია, T-მობაილი)	+6წთ 47წმ
8. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R)	+7წთ 3წმ
9. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, გეროლშტაინერი)	+7წთ 46წმ
10. აიმარ სუბალდია (ესპანეთი, ეუსკალტელი)	+8წთ 6წმ
11. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	+8წთ 8წმ

ძალოსნობა

რუსული დოპინგისტები

ერთი, ორი, სამი და... შტანგა? არა, ბასტა

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ რუსეთის ძალოსნები პეკინის ოლიმპიური თამაშების მიღმა დარჩებიან. სულ ახლახან ზედიზედ მესამე რუსი ძალოსანი ამხილეს დოპინგის მიღებაში ეს კი ავტომატურად მთელს გუნდს დისკვალიფიკაციით ემუქრება.

რუსეთის ნაკრებს წყალი პირველმა შეუყენა ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა დმიტრი ბერესტოვმა (105 კგ.), რომელსაც დოპინგის მიღების გამო ორიოდე კვირის წინათ დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. როგორც რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის ანტიდოპინგური კომისიის მეთაური ნიკოლაი დურმანოვი ამბობს, ამ სპორტსმენს ტაგანროგში შეკრებისას ანალიზი აულეს და დოპინგის ახალი სახეობის მიღებაში ამხილეს.

ამ გამოცდილი ძალოსნის მერე სადოპინგო ხაფანგში გამოუცდელი 17 წლის ევგენი პისარევი გაება (105 კგ-ს ზემოთ), რომელსაც ატლანტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ანდრეი ჩიმერკინის მემკვიდრედ მიიჩნევდნენ და ისიც ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატებზე ორგზის გამარჯვებით ამართლებდა იმედებს. ეს ახალგაზრდაც არასაშეჯიბრო ვითარებაში შეამოწმეს და აღმოუჩინეს პრეპარატ ხლოტალიდონის კვალი, რასაც სხვა აკრძალული პრეპარატების, მათ შორის ანაბოლიკების მიღების კვალის დასაფარადაც გამოიყენება.

რუსეთის ნაკრებს, ეტყობა, საბოლოო ჯვარი დაუსვა მესამე შემთხვევამ, თუმცა, ეთიკური მოსაზრებებით მისი „გმირის" ვინაობას ჯერჯერობით არ ასახელებენ.

საქმე ისაა, რომ იმ სპორტსმენს პირველი ანალიზის პასუხი დადებითი აღმოაჩნდა, მეორე სინჯის ასეთივე შედეგის შემდეგ კი რუსეთის ნაკრებს ყველა შეჯიბრებიდან ორი წლით მოკვეთენ. ეს გუნდის პეკინის ოლიმპიური თამაშების მიღმა დატოვებას ნიშნავს, მით უმეტეს, რომ მის წევრებს სალიცენზიო შეჯიბრებაზეც არ დაუშვებენ. ამასთან, რუსეთის ეროვნულ ნაკრებს სულ ცოტა 30 ათასდოლარიანი ჯარიმაც ელოდება.

სხვათა შორის, წლეულს მარტში ასევე დასაჯეს ინდოეთის ძალოსანთა ნაკრები, რომლის ოთხი წევრიც ბრიტანეთის თანამეგობრობის თამაშებზე დოპინგის მიღებაში გამოიჭირეს.

რუსთა ნაკრების თაობაზე საბოლოო ვერდიქტს, რომელიც, ეტყობა, მისთვის ფატალური იქნება, წლეულს სანტო დომინგოში გასამართი ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე გამოიტანენ.

ავთანდილ ჭყვიშელი

ჰოკეი

ლინდროსის დაისი: დალასი



ერიკ ლინდროსი

ახალი ნავსაყუდელი მონახა ნაციონალური ჰოკეის ლიგის მთავარმა ტვინნაღრძობმა — პირადაპირი (8-ჯერ აქვს ტვინის შერყევა მიღებული) და გადატანითი (ცნობილიპ თავისი უხეში და ძალისმიერი თამაშით) მნიშვნელობით — ერიკ ლინდროსმა. ის დალასის „ვარსკვლავებს" შეუერთდა.

თავის დროზე ახალ უეინ გრეცკიდ შერაცხულმა ლინდროსმა კარიერის დიდი ნაწილი ფილადელფიაში გაატარა. შემდეგ იყო „ნიუ იორკ რეინჯერსი", შარშან კი „ტორონტოში" ირიცხებოდა, თუმც ტრავმების გამო ერიკმა კანადურ გუნდში მხოლოდ 33 თამაში ჩაატარა. ლინდროსს თავის 12-წლიან კარიერაში 6-ჯერ უთამაშია ოლსტარში, 711 ნჰლ-ურ შეხვედრაში კი 367 გოლისა და 472 შედეგიანი გადაცემისთვის ავტორია. საუკეთესო სეზონი მას 1995 წელს ჰქონდა, როცა 115 ქულა დააგროვა და უძვირფასესი მოთამაშეც (**MVP**) გახდა.

ასე რომ, ლინდროსი მომავალ სეზონს ტეხასში გაატარებს და ხელფასის სახით 1,55 მილიონს მიიღებს. თუმც უნდა ითქვას, რომ „დალასის" გენერალური მენეჯერი დუგ არმსტრონგი მაინც სერიოზულ რისკზე წავიდა — გუნდს ჯეისონ არნოტის ნეშვილში წასვლის შემდეგ, გაბარიტიანი ცენტრი კი სჭირდებოდა, მაგრამ ქრონიკულტრავმიანი ლინდროსი რამდენად წაეხმარება „ვარსკვლავებს", არავინ იცის.

ლინდროსის ყოფილმა გუნდმა „ტორონტომ" ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი დაცვითი პლანის თავდამსხმელი — მაიკლ პეკა აიყვანა. ტორონტოსა და პეკას თანამშრომლობაც ერთ წელს გასტანს, რომლის განმავლობაშიც ჰოკეისტი 2,5 მილიონით შეივსებს პირად ანგარიშს.

ფინიქსელი „კოიოტები" კი გაძლიერებას ქვედა ლიგებიდან ცდილობენ. არიზონელებმა აჰლ-დან (ამერიკული ჰოკეის ლიგა, რომელშიც ნჰლ-ის გუნდების ფარმკლუბები თამაშობენ) დაიმატეს 29 წლის ცენტრი დონალდ მაკლინი.

მაკლინმა შარშან კარიერის საუკეთესო სეზონი ჩაატარა — 56 გოლითა და 32 გადაცემით აჰლ-ის **MVP** გახდა. ასე რომ, ფინიქსში მისი დიდად ეიმედებათ.

ბაჩა ლომაყშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი პორტუგალია. 14-23 ივლისი

უსტიაშვილის სამი ვეშაპი

საქართველო 85:71 უკრაინა
23:22 18:14 16:19 28:16
საქართველო: გამყრელიძე (3), ცინცაძე (27), სანიკიძე (27), დიდია (20), ათანელიშვილი (4); საყვარელიძე (4), ლეჟავა

ალბათ დიდი მოულოდნელობა იქნება, ქართველები ნახევარფინალში რომ ვერ გავიდნენ — დავით უსტიაშვილის სამწყსომ გუშინ თითქმის გაინაღდა საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე ჯგუფური ეტაპიდან გასვლა — კერკეტი უკრაინა ბოლო მეოთხედში გატეხა და დამაჯერებელი სხვაობით, 85:71 გაიმარჯვა.

როგორც ერთი ძველი მითი გვასწავლის, დედამიწა სამ ვეშაპზეა დაფუძნებულიო, ასევე სამ კალათბურთელზე იყო გუშინ საქართველოს ნაკრები დამოკიდებული. ვიქტორ სანიკიძე, გიორგი ცინცაძე და რევაზ დიდია — 85 ქულიდან ამ ტრიოს ანგარიშზე 74 დაგროვდა. პირველმა ორმა ძმურად გაიყო 27-27 ქულა, ხოლო დიდიამ 20 მოაქუჩა.

უკრაინა ის გუნდია, ხვალინდელ ჩვენს მეტოქე პოლონეთს პირველ ტურში რომ ეჭიდავა და ბოლო წამებზე დასანანად, 2 ქულით წააგო. ხახოლები ქართველებსაც გვარიანად ებუღრავნენ, მატჩის შუაწელში 7 ქულით ჩამორჩენილებმა დაწინაურებაც კი მოახერხეს, მაგრამ უბადლოდ მოთამაშე სანიკიძე-ცინცაძე-დიდიას წყალობით უსტიაშვილის შეგირდებმა საბოლოოდ მაინც იოლად იმარჯვეს.

მეტნაკლებად თანაბრად მიმდინარე სამი მეოთხედის შემდეგ საქართველო 57:55 იგებდა. უკრაინელებს ისე ეჭირათ თავი, ყველა ალბათ დაძაბული ფინალის მოლოდინში იყო, მაგრამ არ გამართლდა ეს მოლოდინი.

ცინცაძემ და დიდიამ თამაშის განახლებისთანავე დასჭექეს სამქულიანები, რასაც უკრაინელებმა კინკილა ჯარიმ-ქულებით უპასუხეს და როცა ლაშა გამყრელიძემაც იხეირა შორიდან, ქართველებმა სირენამდე 7 წუთით ადრე 9 ქულიანი უპირატესობა დაიბევეს — 70:61.

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო მეოთხედში ლიდერ ტრიოს დანარჩენებმაც შეაშველეს ხელი. თუ დავით საყვარელიძე და გამყრელიძე გადამწყვეტ პერიოდამდე მშრალად მივიდნენ, საკვანძო ეპიზოდებში მნიშვნელოვანი ქულები ჩააგდეს და ქართველების გამარჯვებას გუნდურობის იარლიყი მიაკერეს.

ბოლო წუთებმა ჩვენიანთა სრული უპირატესობით ჩაიარა, ქართველები არც საჯარიმოდან სცოდავდნენ და თამაშიდან ჩასაგდებ ბურთებსაც აგდებდნენ.

ერთი საინტერესო დამთხვევა. უკრაინელებმა და ქართველებმაც თამაშიდან ერთნაირი პროცენტული სიზუსტით ჩაყარეს ბურთები, მაგრამ ჩვენებს გამარჯვება იმად დარჩათ, რომ მეტჯერ გავიდნენ სასროლ პოზიციაზე.

ხვალ ქართველებმა პოლონეთთან 12 ქულაზე მეტით არ უნდა წააგონ, თორემ უსტიაშვილის აქამდე ლალად მავალი გუნდი ნახევარფინალს მიღმა დარჩება. ეს ალბათ არ მოხდება, მით უფრო, რომ პოლონელებს ქართველთა 7-დან 12 ქულამდე დამარცხებაც აწყობთ, რათა ჩვენთან ერთად გავიდნენ ნახევარფინალში.

ირაკლი ბერტაია

პატარა ბოისას დიდი იმედი

იტალიაში ანატოლიმ ტოლი არავის დაუდო

ქართული კლუბები ახლა შვებულებაში არიან, თუმცა მოთამაშეთა უმრავლესობა ინდივიდუალურად ვარჯიშობს. ესენი ის კალათბურთელები არიან, რომლებიც ეროვნული ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში მოხვდნენ. ერთ-ერთი მათგანი გახლავთ ანატოლი ბოისა, რომელმაც საქართველოს ნაკრების ძირითადში შარშან ითამაშა და წლეულსაც დიდი მონდომებით იბრძვის იქ ადგილის დასამკვიდრებლად. ბოისას გასულ სეზონში ერთი ნაბიჯი დააკლდა საქართველოს ჩემპიონობამდე, მისი „აზოტი“, მოგეხსენებათ, ფინალში „ავიამშენთან“ დამარცხდა. დღესდღეობით ტოლიკა უგუნდოდაა და ამიტომაც იმყოფებოდა იტალიაში, სადაც თავისუფალ აგენტთა კემპში მიიღო მონაწილეობა

[illegible] ფოტო

— ვენეციიდან 20 წუთის სავალზე ერთი პატარა დაბაა და „ენდვანის“ თავისუფალ აგენტთა კემპიც იქ გაიმართა — გვითხრა ანატოლი ბოისამ.

— როგორ მოხვდი მაგ კემპზე?

— ჩემმა მენეჯერმა შემომთავაზა და მეც დავთანხმდი. წლოვანება შეუზღუდავი იყო. სხვადასხვა ქვეყნებიდან იტალიაში ის კალათბურთელები ჩამოვიდნენ, რომლებიც უგუნდოდ არიან. შესაბამისად, კემპზე იყვნენ კლუბების ხელმძღვანელები და მწვრთნელები, რომლებიც მოთამაშეებს აკვირდებოდნენ.

— შენ ხომ არ გამოგიჩნდა რამე ვარიანტი?

— ჩემს იქ ყოფნაში კონკრეტული შემოთავაზება არ ყოფილა, თუმცა რამდენიმე კლუბის ხელმძღვანელმა დაინტერესება რომ მოხატა, ეს მენეჯერისგან ვიცი.

— საკუთარი თავით კმაყოფილი ხარ?

— იტალიაში გამგზავრებისას კიდე ოპტიმალურ ფორმაში არ ვიყავი და ამის გათვალისწინებით, საკუთარი თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. კემპის მონაწილეთაგან 8 გუნდი გაკეთდა და ოთხდღიანი ტურნირი გაიმართა. 4 თამაშიდან 3 მოვიგეთ და საკუთარი გარჯით კმაყოფილი დავრჩი. განსაკუთრებით დაცვაში თამაში გამომივიდა, თუმც ქულებსაც საკმარისად ვაგროვებდი.

— იტალიაში შენს ძმას, ვოვას ნახავდი...

— ვოვა სლოვენიაში იყო ოჯახთან ერთად და იტალიაში ჩემს სანახავად ჩამოვიდა 2-3 დღით. ცოტა ხანში ის საქართველოშიც ჩამოვა და ნაკრებთან ერთად ივარჯიშებს.

— შენ რას აპირებ?

— ველოდები ჩემს მენეჯერს, რომელმაც კლუბის ვარიანტი უნდა შემომთავაზოს. მანამდე კი ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. „აზოტი“ შვებულებაშია, ეგეც ამ გუნდთან კონტრაქტი აღარ მაკავშირებს. რუსთაველები ჯერ არ შემხმიანებიან და მეც გული საზღვარგარეთ უფრო მიმიწევს. ახლა ფორმის შესანარჩუნებლად ვვარჯიშობ, მინდა, რომ ნაკრების შეკრებას მზადყოფნაში შევხვდე.

ირაკლი ბერტაია

სიეტლი დიდი კალათბურთის გარეშე რჩება

წვიმის ქალაქს სეტყვა დაატყდა

სუპერსონიქსი გაიყიდა

18 ივლისის ემოციათა ფრქვევის დღე იყო ძველ საკალათბურთო ქალაქ სიეტლში. ადგილობრივ ბიზნესმენთა ჯგუფმა, რომელიც ნბა-ს კლუბ „სიეტლ სუპერსონიქსს“ და ქალთა ნბა-ს „სიეტლ სტორმს“ ფლობდა, ორივე ოკლაჰომა სიტის საქმოსნებს მიჰყიდა. ასე რომ, არაა გამორიცხული, ნბა-ს გუნდმა მისამართი შეიცვალოს და წყნარი ოკეანის წვიმიანი და მწვანედ მოხურმუხტებული სანაპიროდან კონტინენტის შუაგულ სტეპებში, ინდიელთა შტატად წოდებულ ოკლაჰომაში გადაინაცვლოს.

ოკლაჰომელებმა ორივე კლუბი ჯამში 350 მილიონ დოლარად იყიდეს, ხოლო სანამ საბოლოო ხელშეკრულების გააფორმებდნენ, თქვეს — გუნდს ქალაქს გამოვუცვლითო. ასეთ მოვლენებს ყოველთვის ახლავს ხმაური და მღელვარება და სიეტლელმა ქომაგებმაც ერთი ამბავი მოაწყვეს — „ფანჯარაში ნუ ისვრით 39 წელს!“ მსგავსი ტრანსპარანტებით გაივსო საპრესკონფერენციო დარბაზის მისადგომები. ერთი ყმაწვილი გულშემატკივარი რომ ვერ დააწყნარეს, დარბაზიდანაც გააგდეს. ზეწოლა იმდენად დიდი იყო, რომ მყიდველებმა „პირველი ჩვენება“ შეცვალეს და თქვეს, ჯერ არსადაც არ მიგვყავს თქვენი კლუბი, ოღონდ დარბაზს აუცილებლად შევუცვლით და ქალაქ სიეტლის ხელმძღვანელებს 12 თვეს ვაძლევთ ახალი არენის „გამოსაყოფადო“.

„სიეტლი სუპერსონიქსი“ 1994 წლიდან თამაშობს „კი არენაში“, რომელიც დღესდღეობით ერთ-ერთ ყველაზე მოძველებულად ითვლება ნბა-ს 29 სარბიელიდან (ლოსანჯელესური კლუბები ერთსა და იმავე დარბაზში — „სტეიპლზ სენთერში“ თამაშობენ).

ჩვენის მხრივ გავიხსენებთ, რომ სწორედ „კი არენა“ გახლავთ ის დარბაზი, რომელშიც ნბა-ში მოხვედრილმა პირველმა ქართველმა კალათბურთელმა, ვლადიმერ სტეფანიამ შეაბიჯა 1999 წელს.

მოკლედ, „სიეტლი“ ჯერჯერობით სიეტლში რჩება, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ დარბაზის პრობლემას გადაჭრის. ისე კი, ძველი პატრონები ორი წელი ამაოდ ეძებდნენ ახალ სარბიელს და ახლებს ეს რამდენად კარგად გამოუვათ, საკითხავი ეს აქვთ „სონიქსის“ თავგადაკლულ ქომაგებს.

სათქმელია, რომ ოკლაჰომა სიტის არც ერთი გუნდი არ ჰყავს ჩრდილოეთ ამერიკის დიდ ლიგებში, ასეთი კი ოთხია — კალათბურთის (ნბა), ჰოკეის (ნჰლ), ბეისბოლის (მბლ) და ამერიკული ფეხბურთის (ნფლ). პირველი დიდი გუნდი, რომელმაც ინდიელთა შტატში „შეიარა“, ნბა-ს „ნიუ ორლეან ჰორნეთსი“ იყო. გეხსომებათ, შარშან მექსიკის ყურისპირა შტატებს ქარიშხალი „კატრინა“ რომ დაატყდა, ყველაზე მეტად ქალაქი ნიუ ორლეანი დაზარალდა, დაზარალდა კი არა, დაინგრა და მაშინ კლუბი „ჰორნეთსი“ დროებით ოკლაჰომა სიტიში გადაბარგდა. ჩანს, იქ გაიგეს დიდი სპორტის და დიდი გუნდების სტუმრობის გემო და რამდენიმე ბიზნესმენისგან შემდგარმა ჯგუფმა ისურვა, თავისი კლუბი ჰყოლოდა. ნბა იშვიათად უღებს კარს ახალ წევრებს, მით უფრო, რომ მათი რიცხვი დღეს უკვე 3 ათეულს შეადგენს. ოკლაჰომელებმაც რომელიმე ძველის შეძენა მოინდომეს და სანამ „სუპერსონიქსს“ იყიდიდნენ, ძველ ნიუორლეანელ ნაცნობებსაც ევაჭრებოდნენ „ჰორნეთსზე“. ამ ვარიანტმა არ გაამართლა, რაკი თვითონ „ჰორნეთსიც“ ორიოდ წლის წინ გადავიდა შარლოტიდან ნიუ ორლეანში. ამგვარად, გაიყიდა „სუპერსონიქსი“, რომელიც შესაძლოა, ერთ წელიწადში „ოკლაჰომა სიტი სუპერსონიქსადაც“ იქცეს.

ქოტე ყორშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ვერაფერი

ფინიშისკენ მიგორავს უპოპულარულესი ტურ დე ფრანსი და მისი შვიდჯერ მომგები ლენს არმსტრონგიც საფრანგეთის გზებს მიუყვება. ოღონდ არა ველოთი, არამედ მანქანით, პირველად თავის ცხოვრებაში. გადამდგარი დიდი ჩემპიონი თავისი ყოფილი გუნდის, „დისქავერის" მრბოლებს ამხნევებს, ოღონდ მათ ეს ვერ შველით. უარმსტრონგო „დისქავერი" ვერაფერი გუნდია.

AFP



ოჰ, ეს ოკლაჰომა!!!

„ნუ გადაყრით 39 წელს ფანჯარაში!" ამ ტრანსპარანტის დამჭერს ნუ ჩათვლით ერაყელად ან პალესტინელად. ამერიკელია, „სიეტლ სუპერსონიქსის" თავგადაკლული ფანია და მეგობრებთან ერთად იმას წუხს, მისი გუნდი სიეტლელმა ბიზნესმენებმა ოკლაჰომელებს რომ მიჰყიდეს და ამით სიეტლი კალათბურთთან განშორების საფრთხეს შეჰყარეს.

AFP

ფიტულები

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როცა ამერიკაში ცისფერ-ვარდისფერი ხალხი თავიანთ ორიენტაციას და მიდრეკილებას საგანგებოდ ნიღბავდა. ახლა ისინი „გეი-თამაშებსაც" აწყობენ და ილინოისის მომცრო ქალაქი მე-7 ასეთ ე.წ. „ტურნირს" მასპინძლობს. თამაშებზე, ალარ გვიკვირს და, დიდი ყურადღება სწორედ რომ პოზირებას ეთმობა.



AFP

ყვანჯი და გიტარა

ლივერპული მეზღვაურების, მუსიკის და ფეხბურთის ქალაქია. და გოლფისაც. ქალაქის სანახებში იმართება ცნობილი ტურნირი „ბრიტიშ ოუფენი", ამერიკელი ყვანჯოსანი ჯონ დეილი, როგორც ირკვევა, „ბითლომანი" ყოფილა, ჯერ ლენონის სიმღერა ჩამოუკრავს გიტარაზე, მერე კი გენიოსი მუსიკოსის ძეგლსაც ჩაუძმობილდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge